


ՀԱՅՐԱԶՈՐ





I	ვაიმე, მიშეელეთ! სურათი	3
II	ტოროლა ლექსი—შიო მღვიმელისა	4
III	გუმინდელი ამბავი—ტასოსი	6
IV	მთვარის მოგზაურობა სამი სურათი (გერმანულიდან)—ა. უმისთაჟელისა	11
V	ბიძიას ნაამბობი (სურათები ბავშვების ცხოვრებიდან) შემდეგი—აფ. ნათაქესი	18
VI	გვირილა და ტოროლა (ანდერსენის ზღაპარი)—ვ. მიქაბეჭემისა	27
VII	წერილმანი: გამოცანა და სხვა	34
VIII	მამა დაბრუნდა—ეკ. გაბაშვილისა	35
IX	უკულო ბავში მოთხრობა მონგომერისა თარგ. (გაგრძელება)—ელ. წეჭეთელისა	43
X	ყუმბარა (შვილი-შვილის ნაამბობი)—აფ. საჩაჯიშვილისა.	49
XI	ჯვაროსნული გალაშქრება ბავშვებისა (დასასრული) ე. სიოსოვეისა. (თარგმანი)—ნ. ენუქემისა	58
XII	ფიზიკური გეოგრაფია პროფესორი გეიკისა (დასასრული) სსნ—ინისა	66
XIII	ანდაზები და ახსნა	79
XIV	მთელი წლის სარჩევი	80
XV	განცხადებები	86





ს ა ხ მ ა წ მ ი ლ ო ნ ა ხ ა ტ ე ბ ი ა ნ ი

ქ უ რ ნ ა ლ ი

იზარდე, მწკანე ჯეჯილო,
დაპურდი, გასდი უნაო!..
ო. დ.

№ XII

წელიწადი მეთექვსმეტი



ტ ვ ი ლ ი ს ი

სტამბა ტ. შ. როტინიანცის, № 41 ||| Тип. Т. М. Ротинианца, Гол. пр. № 41
1905

150.

საბავშვო



გ ა ი მ ე , მ ი შ ვ ე ლ ე თ !

მეცხობდეს ილიაძემ იმის
მხრემდითან ვაქა
მხრემდითან მუხან
მხრემდითან მხრემდითან
მხრემდითან მხრემდითან



ტორღლა.

სულ ობოლი ვარ, ბაღლებო,
დედაც მომიკვდა, მამაცა;
უღროთ თავი დაუკრ
შავ-ბნელ სამარეს მამაცა.

დედა ელდისგან გათავდა,
მმა რო გაგმირა ტუვიამა,
მამა-კი სადღაც ბნელეთში
გავსაზნა უორმა ძიამა.

და ისიც თურმე, გზა და გზა
თავში ნისკარტის ტყეითა,
გადაიკვალა საბრალო
დიდის ტანჯვით და კვეებითა.

მისი სიკვდილი გადმოძეეს
ისევე მათიანებმა:

სვაუმა და შავმა უორანმა,
სსვის ლემსე მადიანებმა.

ოი რა ვუთხრა ბუენა ჭოტს

და კაჭკაჭს მასწრობელსა!..

არა უმაჟს-რა, მეც ვნახავ
მათსე დათაღსულ მშობელსა.

თუ ძამა ჩემი ადრინან
განთიადსედა გალობდა,
ალებად ეს სურდა ბუნებას,
ძმასაც განგება სწეალობდა.


და მის გულისთვის განა ჭოტს
უნდა მოეკლას ისინი?..

ჩვენ გვარად მოგვდევს გალობა,
არ შეგვიძლიან სისინი!..

მეც ვიცი მათებრ გალობა
ბევრი, არ თითო-ოროლა,
მალე დავძახებ განთიადს
თქვენნი ქოჩორბ ტოროლა.

მთლად ობოლი ვარ, ბაღლებო
დედაც მომიკვდა, მამაცა;
უდროოთ თავი დაუკვრს
იმ წუთი-სოფელს ძმამაცა.

შ. მღვიმელი.





გუშინდელი ამგავი.

ვენ, რამდენიმე ამხანაგი, უოველ დღე თავს ვიურიდით ერთ დიდ სახლის ეზოში. აუ ვთამაშობდით, ვლანარაკობდით და ძალიან სიამოვნებით ვატარებდით დროს. ზოგი ჩვენგანი ამ სახლშივე ცხოვრობდა და ზოგი კიდევ მესობლათ.

სანამ თოვლი არ ჩამოყარა ქეიუში ვიუავით, მერეც ერთ დღეს თოვლში გვიანა თამაშობა, მაგრამ რაკი აგვიცრივდა, თოვლს ქარ-ბუქი მოჭევა, ძალიან შევწუხდით, რადგან ცას-ქვეშ ვეღარ ვრჩებოდით, ვინმე ჩვენანის სახლში თავის მოურა-კი მხელი იყო, რადგან ღარიბი ოჯახის შვილები ვიუავით და ჩვენი დედ-მამა თითო-ორჯო ოთახში ცხოვრობდენ.

ერთმანეთის ნახვა-კი ძალიან გვინდოდა, მეტადრე იმიტომ რომ სწავლა სკოლებში არ იყო. ბოლოს მოვიფიქრეთ, რადგან დღესასწაულები გვიანლოვდებოდა; შობის სე გაგვემართა და ცოტა მაინც გავმხიარულეზიუავით. ერთმა ჩვენგანმა, ჰეტომ, წამოიძახა:—დიდი ხანია ლექსო დამპირდა ნამვის სეს. იმას უოველ წლივ ბეკრი ნამვის სეები ჩამოაქვს გასაუიდათ. ოღონდ მითხარიო და რამოდენა სესაც მოინდომებ—მოგიტანო.

ეველა ამხანაგები გუპირდებოდენ ხილს და სანოვაცეს, მეტადრე ვანო გვიქადდა ბევრ ხილს, ბაულის ერთათ-ერთი შვილი იყო და მამა არ იშურებდა არაფერს იმისთვის.

— ეკ ეველაფერი კარგი, მაგრამ სახლი! ესოში რომ ვერ დავდგამთ შობის ხეს?— ვუთხარი მე.

ამაზე ეველამ ურები ჩამოჭყარეს. მართლა და სახლი სად უნდა გვემოვა.

დიდხანს ჩუმად ვიყავით.

ბოლოს ვანომ კრძალვით წამოიძახა:

— თუ არ გამცემთ, ერთ რასმე გეტყვით. აი, შემოთ შვიდი-რვა მორთული ოთახი რომ ცარიელია, იქნება იქ შეგვიშვან. მისი ჰატრონები გაიქცენ სხვა ქვეყანაში. შეშინდათ აქ არაფერს მოგვეკვლასო და ეს ოთახები მამა-ჩემს ჩააბარეს. ახლა თქვენ იცით, მე-კი ნუ გამცემთ.

ეს ეველას ჭკუაში დაგვიჯდა. ერთ წამს ერთმანერთში მოვიღანაზრაკეთ და დავიშალეთ.

სადილობის დროს ვანოს მამა, ოჭანეზა, რომ შემოვიდა ესოში და ის იყო უნდა ასულიყო თავის კიბეებზე, ერთბაშთ შემოვესვიეთ გარშემო და დაუწვეთ სვეწნა-მუღარება:— ნათლიავ, ჩვენო ნათლიავ, კეთილო მამობილო, გვიმოვე მანდ შემოთ საჩუღლში ჰატარა რამე ოთახი, გვინდა შობის ხე გავმართოთ. ვანო ნუ მოგიკვდება შეგვიწვე ხელი.

და ისე ჩაცებით ვესვეწებოდით და გზას ვუკრავდით, რომ ოჭანეზამაც არა ჩვეულებრივი გულ-ჩვილობა გამოიჩინა და ტკბილათ გვითხრა:

— თქვე ლაწირაკებო, ეკნა მომეცით, დღალული კაცი ვარ, ავიდე ჩემ ბინასე. მოვიფიქრებ, ვნახოთ, ვასუსნ ვანო ჩამოგიტანთ, ოღონდ ახლა გამიშვით, თავი დამანებეთ.

როგორღაც იმედი მოგვეცა და ჩამოვეცალეთ. ვანო ახვევა მამას და თან თითებით გვანიშნებდა, რომ ოთხ საათსე ისევე თავი მოგვეყარა.

დანიშნულ დროსე ესოში მოვკროვდით და ვანომაც ჩამოგვიტანა ვასუსნი.

— დედამ ძალიან გვიშეულა, ამბობდა ვანო, მამა-ჩემს ასე უთხრა: რა ჰენლები დასცვივა ოთახებსაო, დიდი საქმეა თუ ემაწვილებმა ერთ საღამოს დრო გაატარეს, თვალი გახნილესო. ჩემი გოგოებიც, დედა იმათ ენაცვალოს, იმხანაშელებენო. — ასე რომ სხსადილო ოთახნი მოგვცეს. რაც გასატენი და ძვირფასი ნივთია იმ ოთახში სხვაგან გაიტანენ და ყველაფერი კარგათ მოეწეობა, მხოლოთ ერთი რამე მაწუნებს, მე ვიცი რომ ჯილდა მოსვენებას არ მოგვცემს, ოთახებთან ახლოს არ გავატარებ. საბრალო ძალი აქ დატოვეს იმ უღმერთობმა. საწყალი ნადვლობს და ჯავრით ლამის გადაგველანაოს. დაჩვეულია კაი ცხორებას, კაი ჭამა-სმას. მართალია მისი შესანახი ფულიც დატოვეს, მაგრამ მამა-ჩემი აღარას დაუკლებს, ამ სიძვირეში ყოველდღე ხორცს მიაწოდებს. მაგრამ, რაკი ოთახი ვიძოვეთ, ამასე არც-კი დირს ლაზარაკი.

და ამ დღიდან შეუუდევით სამსადისს, ავროდით და ჩამოვროდით ამ ძალი კიბეებსე, რასაკვირველია იმ დროს,



როდესაც ოქანებს შინ არ იყო ხოლმე. ჯილდაც შეგვეწვინა, ერთხელ-ორჯელ დაგვეყუბა და მერე, თითქოს გაერთო კიდევ, სულ უკან დაგვედგა. ზეტომ მოათრია კარგა მოდიდო ნამკის ხე, ტკბილეულობა ბლოძათ ვიძოვეთ. აუარება ვაშლი და ხმელი ხილი გვექონდა სტუმრების მისართმევათ. სანთლებიც ვიყიდეთ. უველა ჩვენგანმა დები და ნაცნობები დახატია. შობა დღეს დილით შუა ოთახში მაგიდაზე დავდეთ ხე და შეენივრათ მოვრთეთ, გამოვიხურეთ კარი და გამოვედით.

საღამოსე მხოლოთ შობის ხის გაჩაღება დაგვეჭირდებოდა და სტუმრების მიღება. ვანოს დედა და ზატარა დები უველაფერში ძალიან გვეხმარებოდნენ.

დანიშნულ დროსე, თითქმის უველა ერთათ, სტუმარძმასწინძლები მივადევით კარებს. შევალეთ და ნურა თვალძმანუ ნახოს, რაც ჩვენ სანახავი ვნახეთ! ოთახში დამალული ჯილდა იდგა მაგიდაზე და რაც ძალი და ღონე ქქონდა გლეჯდა ხის მორთულობას, ტკბილეულობას და თვით ნამკის ხის ტოტებს.

გამფოთებული შევჭყვივლეთ. ჩვენ ხმურობაზე ჯილდა ერთი უცნაურათ მოტრიალდა, გადახბრუნა ხე, სედ თავზე გადაგვახტა და გაიქცა.

ცოტა ხანს ერძანერთს ნადვლიანათ შევცქეროდით, მერე-კი ხე ისევ წამოვავენეთ, საჩქაროთ მოვრთეთ და დავიწვეთ მის კარძემო ცეკვა და ტრიალი; თან მოვიგონებდით თუ არა ჯილდას აძბავს ვიცინოდით და ვკისკისებდით.



ძთვარის მოგზაურობა.

პირველი სურათი.



იუვარს, ძრეელ მიუვარს ბავშები, ასე დაიწყო ძთვარემ თავის მოგზაურობის ამბავი.—მეტათ სსსაცილონი არიან ეს ჰაწიები. სძირათ ვუთვალოთვალე სწორეთ იმ დროს, როცა ისინი ჩემსე სრულიადაც არა ჭფუიქრობენ. ძალსე ვსიამოვნებ სოლოძე, როცა ფანჯრებიდან ვუცქერი ბავშების ტანთსაცმელის გახდას. პირველათ ტიტლიკანა ძსრები იჩენს თავს ტანთსაცმელიდან, ძსრებს ძკლავებიც თან მოჭეკება. სძირათ ვხედავ, ჰაწიას წინდებს ხდიან, იგი სითსითით ქულასავით თეთრ ფეხებს სავოცნელათ ჭყერძი იძვერს. ძეც დიდის სიამოვნებით ჩაუკოცნიდი ჰაწიას ამ ფუნჩულა ფეხებს.

— ჭო! იძას მოგახსენებდით, განავრძო ძთვარემ, დღეს სადამოს ერთ სახლის ფარდებ-ჩამოუფარებელ ფანჯრებძი ვიცქირებოდი. ოთახძი თავი მოეყარათ ბავშების ძთელს გროვას. ეველანი და-ძძანი იუვენ. ბავშებთა შორის ჰაწია, ასე ოთხი წლის გოგონაც, ძსიარულათ დაცქრიალებდა.



გოგონა თუბცა ჯერ კიდევ ჰატარა იყო, მაგრამ დაწოლის დროს «მამა-ჩვენოს» წაკითხვას-კი ახერხებდა.

დედა ყოველ საღამომით მიუჯდებოდა ჰაწიას ლოგინზე და უსმენდა თავის საუკარელ გოგონას ჩვეულებრივ ლოცვას. როცა ჰაწიას თვალთ ძილი მოეკიდებოდა, დედა წენარათ, მაგრამ მხურვალეთ ჩაჭკოცნიდა თავის გოგონას და ფეხ-აკრეფით სხვა ოთახში გავიდოდა.

დღეს საღამოს ორი უფროსი ბავში რაღაც ძრიელ მხიარულათ ერთობოდნენ. ერთი ეძმაკურათ ცალ-ფეხზე ტრიალებდა გრძელ თეთრ საღამურს ჰერანგში. მეორე სკამზე შეცოცებულყო და განდილ ტანთსაცმელს დანარჩენ ბავშებს გარს ახვევდა, თითქო ცოცხალი სურათების ჩვენება ჰსურსო. მესამე და მეოთხე ბავშს ტანთსაცმელები სკივრის თავზე ჩამოედოთ და საერთო ფერხულში ჩაბმოდნენ.

დედა თავის ჰაწია გოგონას სასტუმალს ჩამოჯდომოდა და ბავშებს მოწიღებულის ხმით უჯავრდებოდა:—დაწენარდით, დაჩუბდით, თქვემა ჰაწია დაიამ უნდა ილოცოს, «მამა-ჩვენო» უნდა წაკითხოსო.

ჰაწიას საწოლის გვერდით კოწია სკამზე ჩამოეწყო თავისი ტანთსაცმელი. ლამზის მუქი მკრთალათ ამუქებდა ჰატარა გოგონას ოთახს. ჰაწია საწოლზე დაჩოქილიყო, ფუნჩულა ხელები მაღლა ადევრო და ოდნავ გასაგონის ხმით ლოცულობდა «მამა-ჩვენოს».

— რას ამბობ, უეცრივ შუა ლოცვის დროს განწყევ-
ტინა სიტუვა თავის ჰაწია დახოქილს გოგონას დედამ.

— როცა შენ ლოცულობ: «მოგვეც უოველ დღე ჰუ-
რი»... შენ კიდევ რაღაც სხვა სიტყვებს უმატებ, რომელიც
მე კარგათ არ მესმის. აბა, განმეორე, რა სიტყვებს ამბობ?

ჰაწია ერთბაშათ გაჩუმიდა და მორცხვათ დედას გადა-
ხედა.

— ნუ გრცხვენია, თქვი: «მოგვეც ჩვენ უოველ დღე ჰუ-
რი»... შემდეგ?

— ჩემო საუვარელო დედა, თუ არ გამიჯავრდები, გეტყ-
ვი. მე ვლოცულობ: «მოგვეც ჩვენ უოველ დღე ჰური და
ბლომათ ყველი».

მეორე სურათი.



უშინ, ასე მომითხრობდა ძთვარე, ვათვალეებდი
ერთ-ერთს ქუჩასე სახლის ვიწრო კარ-მიდამოს.
ეხომი დაბუდრებულყო კრუსნი თავისი წიწილე-
ბით. ჰატარა ცქრიალა და სანდომიანი გოგონა კრუსს და წი-
წილებს თავდავიწყებით ხან აქეთ და ხან იქით ერეკებოდა.
კრუსნი საცოდავათ კრუსუნებდა და შეშინებული გაშლილის
ფრთებით იგერებდა წიწილებს ჰატარა გოგონას დაწვე-
საგან. ამ დროს მოასწრო გოგონას მამამ და ძრიელ და-
ტუქსა კრუსისა და წიწილების ასე დაწიოკებისათვის. მე



ცის სივრცეზე გავსურე სხვა ადგილას და სრულიადაც დამავიწყდა ჰატარა გოგონას მიერ კრუნისა და წიწილების დარბევა. დღეს საღამოს კვლავ შევიხედე იმავე სახლის ვიწრო კარ-მიღამოში.

ირგვლივ უველაფერი სდუმდა. სოლო ჰატარა გოგონა ჩუმად მიჰხაროდა საქათმეს, ჩამოელო საქათმეს კარები, შესულიყო შიგ და კრუნსა და წიწილებს ხან აქეთ ერეკებოდა და ხან იქით. კრუნი და წიწილები გაწიოდენ რაც ძალი და ღონე ქეონდათ და ერთი კუთხიდან მეორე კუთხეს ასეღებოდენ. ჰატარა გოგონა კრუნ-წიწილებს უკან დასდევდა. უველა ამას გარკვევით ვხედავდი. ჯავრი მომდიოდა ჰატარა გოგონასუ. მაგრამ დახეთ ჩემს სინჯარულს, როცა საქათმესთან მოვიდა გოგონას მამა და გუშინდელზე უფრო სასტიკად დატუქსა ჰაწია და თან მაგრად საუელოში ხელი ჩაჰკიდა.

გოგონამ თავი განზე გადინარა და ცისუფრი თვალები ერთიანად ცრემლებით ავესო.

რას აკეთებ აქ? ჰკითხა მამამ. გოგონა ჩუმად იცრემლებოდა.

— შე მინდოდა, ლუღლუღებდა ჰატარა გოგონა, კრუნი და წიწილები ერთიანად გადაიგოცხა. გუშინდელის გამოჯავრებისათვის დღეს ამით მანც ბოდში მომქნადა, მაგრამ ამის თქმა ვერ გავიბედე!..

მამამ მაშინვე თავისი ჰაწია გულ-კეთილი გოგონა

მაგრეთ გულში ჩაიკონა და მხურვალეთ ჩაკოცნა. მე-კი ჰა-
წიას ცრემლიან თვალებს და მოელვარე ტუჩებს ცის სივრ-
ციდან სალამი ვუძღვენი.

მესამე სურათი.



უშინ, ასე დაიწყო მთვარემ, ცის სივრციდან შე-
ვცქეროდი ერთ ჰატარა გოგონას, რომელიც
გულამოსკვნით ტიროდა. ჰაწია ცრემლების დახაღუპით ქვეუ-
ნის უსამართლობას უჩიოდა.

ჰატარა გოგონამ საჩუქრათ მიიღო შვენეირი დედოფა-
ლა. ღმერთო! რა ლამაზი და ნაწი იყო ეს დედოფალა!
ჰაწიას ისე უევარდა, ისე უევარდა ეს დედოფალა, რომ
არაფრის გულისათვის მას არავის არ დაუთმობდა. ან-კი
როგორ უნდა დაეთმო, როცა ის მთელს თავის სიცოცხ-
ლეს ერჩია. ჰაწია გოგონას მოჰპარეს მუდამ ცელქმა
და დაუცხრომელმა ძმებმა მისი საუკარელი დედოფალა, გა-
იტანეს ბაღში და ძალადი ხის წვერვალოზე ჩამოდვეს, თვი-
თონ-კი სადღაც შორს მიიძალენ.

ძალადის ხის წვერვალოდან დედოფალას ჩამოღება ჰა-
ტარა გოგონას თვითონ არ შეეძლო და არც არავინ არ
ესმარებოდა ჩამოედებინებინა. აი სწორეთ იმიტომ ტი-
როდა საბრალო გოგონა. დედოფალას ჯვარბდინათ გაესლარ-
თა ხელები ხის ამწვანებულ ტოტებში, საცოდავათ ჩამო-



იუერებოდა მაღლიდან და ჰაწიასთან ერთათ თითქო გარკვევით ტაროდა. დიას, ჰაწიას დედოფალას ეწვია სწორეთ ქვეყნის ის უსამართლობა, რომლის შესახებ ასე სძირით მოუთხრობდა დედა თავის საუვარელ გოგონას.

— ღმერთო! რა საცოდნავი და საბრალოა ჩემი დედოფალა! — ცრემლების დანადგებით ლუღლუღებდა ჰატარა გოგონას და ხის ძირს ხან აქედან შემოუტრიალებდა და ხან იქიდან.

— აი, სადაცაა კიდევაც დაღამდება! ღმერთო, რა უბედური ვარ! ნუ თუ ჩემი საუვარელი, ნახი და შვენიერი დედოფალა ამაღამ ხის წვერვალაზე მარტო-მარტო უნდა დარჩეს! არასოდეს! არა და არა! ეს უოვლად შეუძლებელია!

— ჩემო კარგო, შვენიერო და ნახო დედოფალავ, თუძუც ავათა ვარ, თავი ძალზე მიხურს, მაგრამ მარტო-მარტო არ დაგაგდებ. მინდა მთელი ღამე შენთან გავატარო და შენი ბედი და უბედობა სავსებით გავიხიარო. დიას, მთელს ღამეს შენთან გავატარებ და მარტოობას არ შეგამჩნევიანებ, ჩემო საუვარელო და კოპწია დედოფალავ!

ჰატარა გოგონას ამ სიტყვებთან ერთათ თვალთ-წინ ნათლათ წამოუდგა მთელი გროვა ჭინკებისა, მაღალსა და წოწოლა ქუდებში; იქვე მახლობლათ ბუჩქებში ეშმაკები ფერხულში ჩაბმულიყვენ.

ჰაწიას ტანში ჟრუანტელმა დაურბინა. ვველა ეს საშიში არსებანი თან და თან უახლოვდებოდენ იმ ხეს, რომლის ამწვანებულ ტოტებიდან ჰაწიას საუვარელი დედოფალა

საცოდავათ გადმოიუწრებოდა. ჭინკები სიცილით და ხარ-ხარით თითებს იშვერდენ დედოფალასკენ.

— დმერთო! სომ არაფერი ცოდვა არ ჩამიდენია, რომ ასე შეუბრალებლათ მტანჯავ! ეგებ მართლაც რამ დაგაძავე, ისეთი რამ ჩავიდინე? — ჭუიქობდა საბრალო გოგონა და შიშისაგან ერთიანათ ჭკანკალებდა.

— მართლა! მართლა! მომაგონდა, მომაგონდა, — წაი-ღულღულა ჰაწინამ კბილების კანკალით. — ერთსელ დავცინე წითელ კლანჭებიან იხვს, რომელიც სასაცილოთ დაკოჭ-ლობდა. მაგრამ, რა უუოთ, ის იხვი ისე სასაცილოთ და-ბაჯბაჯებდა, რომ ეველას გაეცინებოდა და მეც-კი გამეცი-ნა! სჩანს, ისეც ცუდი ყოფილა, რომ გაცმა ცხოველს და-ცინოს, თორემ ესეთი უბედურება რათ უნდა დამტყდომოდა თავზე!..

— იქნება ჩემმა საუვარელმა დედოფალამაც დაცინა რომელიმე ცხოველს, რომ ისიც ასე შეუბრალებლათ ჩემსავით იტანჯება?

— შენც სომ არ დაგიცინია, რომელიმე ცხოველისათვის? — შეეკითხა თვალე-ცრემლიანი გოგონა სის წვერვა-ლოზე ჩამოკიდებულ დედოფალას.

პატარა გოგონამ ნათლათ შენიშნა, რომ დედოფალა მაღალის სის ამწვანებულ ტოტებიდან ცრემლების ღაპაღუ-პით თავს უქნევდა თანხმობის ნიშნით.

ა. ყუმისთაველი.

(გერმანულით)



შიქიას ნაამბოჟი.*)

(სურათი ბავშვების ცაოვრებიდან).

მ ა მ ი თ ა დ შ ი .



ათენდა ეს სანეტარო დილა: ჯერ მზე არც კი ამოსულიყო, რომ ზალივით შელოცნიდან წამომასტუნა. დედამ ჩაის მაგივრათ წახანდელი რძე შემასვრეპინა, ხელსასოცში ვეკლი და ზური გამოძიკრა და ასე ამ რიგათ გაგვისტუმრა მამითადისკენ. ნახირის მისვლა მოსვლას გზაზე ფეხს ვერ აუძევედით; მენახირეებს ნამკალში მიუდიოდათ საქონელი სამოვრათ. ჩვენ მალე დავწინაურდით;

შევეუდექით ერთს ზატარა კვერდას და მალე ტეეძიაც შევედით. აქ ხომ ჩემს სიამოვნებას და სიხარულს დასასწრელი არა ჰქონია. ხან ერთს სერთან, ხან მეორესთან ზატარა გოგონა კვი-

*) იხილეთ „ჯეჯილი“ № X—XI.

ცოცხალი და მწვანე ბალახზე ვგორაობდი, ხან ევა-
ვილებსა ვკრეფდი, ხან ფოთლებს ვაგროვებდი და ხან
ხის ტოტებს ვკონწიალებოდი. ფრინველებს ერთი «ვაი
უშველებელი» გაჭქონდათ... გუგულმაც გამოგვძახა თავისი
«გუგუ», უნდა დავეძლიე, მაგრამ «ვერ მოვართვით, გუგუ-
ლო, ჩემო გუგულო! დედამ მე დამასაუხმა და აბა რო-
გორ და დამძლეუ». ჰალიკოს-კი ეწეინა ამ გუგულის ხმა,
ეტყობოდა, რომ იგი არ შენაურებულყო. მე შევაძლიე ჩე-
მი უველი და ჰური, მაგრამ არ აიღო—«ახლა რაღა დრო-
სია, დამძლია ამ სავერანომო», თქვა ესა. გავაშურეთ ფე-
ხი. მალე ამ ტყესაც მოვრჩით და შევდევით ერთს სერ-
ზე, რომლის ძირშიაც დიდი «ოჭი, ჰუნა»-ს ძახილი ისმოდა.
მე ჰალიკოს აღარც-კი მოუუცადე, დავეძვი ძირს და ერთი
თვალის დასამხამებამი მამითადთან დავიბადე. მე ცქერათ
ვიუხავი გადაქცეული. თუქვა კი მრავალჯერ მინახამს უანას
რომ მკიან, მაგრამ ამდენს სალხსა და ამბავს-კი ჯერ არ
შევხვედრივარ; დავთვალე კიდევ. სულ ოც-და-ათი კაცი იყო
მოძეული. მალე ჰალიკოც ჩაერია და ოც და-თერთმეტი კა-
ცი გახდა. თავზე თითქმის უველას ხელსახოცები ჰქონდათ
წაკრული. თავში ერთი კაცი მკიდა და, როგორც ბიჭები-
საგან გავიგე, ამას მეთაური ერქვა. საშინლათ ეჯიბრებო-
დენ ერთმანეთს მკამი, მეშინოდა კიდევ ერთი ერთმანეთს
ფეხში არ მოსდონ-მეთქი ნამგალი. სამმა ახალგაზდა ბიჭმა
უველას გაუსწრო წინ. მათ შორის ჰალიკოც ერთი. მემე-



ვეები ვეღარ ასწრებდენ სელეუზების გროვებას და მის შუკვრას. მეც ფეხ და ფეხ მივსდევდი ზალიკოსს და მის მიერ მოჭრილს უანასს მე ვიდებდი სოლმე; ამ უოფაში ბევრ ხანსაც ვიქნებოდი, რომ ჩვენი სოფლის მენახირე ბიჭები არ ჩამტყიებოდნენ და მათ მე თამაშობაში არ გავეწვიე. თამაშობაში ჩვენ ძლიერ დავშორდით მამითადასა და ერთს უშუკვლებელ დაბურულ ტყეში ამოვუვათით თავი. ეს ბიჭები თურმე ღამის მესრეები უოფილიუვენ და მე რა ვიჯოდი. მე ძალიან გავერთე, ეველაფერი დამავიწვეს ამ ზაწაწინა ბიჭებმა. ამასობაში მობინდებულყო კიდევაც. საქონელი გამოვრეკეთ და ერთს ტრიალ-მინდორზე ჩავრეკეთ დასაბინავებლათ. ახლაც ცოტა არა-შეძემინდა და მინ წასვლა მოვინდომე, მაგრამ მარტოკა ვერ წავიდოდი და გვის მახვენებელიც არავინა მყავდა. დავრჩი მარტოკა უდედოთ. ულოგინოთ. ვიფიქრე, ვიფიქრე; ვემუდარე ეველას, მაგრამ ვერა გავაწვე-რა, თედოს კალთასე მივდე თავი და ჩამემინა კიდევ.

ტრიალ-მინდორზე.

სულ ექვსი ბავში ვიქნებოდით: თედო, ზავლე, ილიკო, კოტე, ლექსო და მე. ეველასე უფროსი, თედო, 14 წლისა იქნებოდა. ეს კარგი წამოსადეგი «ტალიკი» ბიჭუნა სხანდა. მის მოდრუბლულ შუბლის ქვეშ ღამაზი ჭუჭუნა თვალები გამოიტყუროდნენ. მეორე ბიჭი, ზავლე, ღანაწარაში

სხვაზე მეტს აშარტავნობას იჩენდა და მეტსაც ლაპარაკობდა. უველა ნიშნითა სჩანდა, რომ იგი მდიდარ ოჯახს ეკუთვნოდა და მინდორში ისე, გასართობათ, გამოჰყოლოდა ბიჭებს. ამას ეცვა ზოლ-შემოვლებული ჩითის ხალათი და კანჭებს მადალ-ეელიანი ჩუსტები უმძვენებდენ. მესამე ბავში, ილიკო, ერთი შესედვით არ მოგეწონებოდათ, მანამ კარგა არ დააცქერდებოდით მის ცოცხლათ და ჰირ-და ჰირ მაცქერალ ბრიალა თვალებს. ამას ეცვა ჩითის ხალათი და ქამრის მაგივრათ ბაწარი ერტყა. კოტე მაკვირვებდა ჩუმი და მოწეენილი შესედულობით და შეწუსებული სანით. სულ ჰატარას, ლექსოს და მეც ხომ სრულიადაც ვერ შეგნიშნავდა კაცი, ჰავლეს რომ ორივენი არ მივეპატივნეთ ახალ შემწვარ სიმინდსე. ჩვენს ახლო ცეცხლს გუგუნო გაჰქონდა და კარგათ შორს აწვდიდა ნათელს. თედო დაჩოქილი სწავდა სიმინდს, ჰავლე მხარ-თემოსე წამოგორებულიყო, ილიკო კოტეს ახლო დაპირქვავებულიყო და თედოს მოძრობას თვალებს ადევნებდა. კოტეს ასკილივით ძირს ჩაეკიდნა თავი და თითქო რაღასედაც ნაღვლობდა. მე და ლექსო ადგილიდან არ ვინძრეოდით... დიდი ბიჭები ისევე ისე ალაპარაკდენ. ბოლოს ლექსო შეეკითხა ილიკოს:

— მამ აგრე-ჰა, შენ თვითონ ნახე ალი?

— არა, მე არ მინახავს... ბატონიანთ მოჯამაგირეს უნახავს, — მიუგო ილიკომ შეშინებულის სმით.



— ალი უფრო რა ადგილას იჯის?— ჭკითხა კოტემ ილიკოს.

— მკელ ნასახლარებში იჯის სოღმე, განა, ილიკო? წამოიძახა ლექსომ.

— ჭოდე... ჩვენებიანთ ნასახლარშიაც იმდენი ალები ყოფილა, იმდენი რომ ჭა!.. ერთხელ მეც გავიგონე აი, ალის ხმა...

— როგორ?.. ძალიან, ძალიან დაიუვირა? ჭკითხა თედომ

— აი როგორ იყო: ერთხელ შევიკრიბენით ბლომათ ბიჭები და ჩვენებიანთ ნასახლართან კეკე-მალულობასა*) ვთამაშობდით.. ვითამაშეთ, ბევრი ვითამაშეთ და, როდესაც დავიღალენით, იქვე კედლის ძირში მივსხედით და ზღაპარს ვამბობდით... უეცრივ ვიღამაც ქვა გამოისროლა... ვუცქირეთ, ვუცქირეთ და ვერაუინ-კი დავინახეთ. კიდევ გამოისროლა ქვა და, თითქო ცხვარი არისო, ერთი საჩინელი დაიბღავლა. ჩვენ შიშით გულები გაგვისუდა და შინისკენ გადაიქცით... ბიჭო, კოტე! აკი შენც იქ იუავი?

— ჭოდე, იქ ვიუავი... ი ვერანამ რო ჩახველა კიდევ ცა!.. სთქვა კოტემ.

*) კეკე-მალულობა ძალიან კარგი, სასარგებლო საბავშვო თამაშობაა. კარგი იქნება, რომ მშობლებმა და აღმზრდევლებმა დიდი ყურადღება მიაქციონ ამ შესანიშნავ თამაშობას, მაგრამ ამის შესახებ მალე მექნება სხვათა შორის წერილი მშობლების საყურადღებოთ.

— არა, არ დაუხველებია, მაგრამ დაიბღაულა-კი.

— დედა არ მომიკვდება, მე თვითონ გავიკონე, რო ახველებდა... აკი გითხარი კიდევ, ი ვერანა რაღას ახველებს-მეთქი...

— უჰ, რა ვერანა რამა უოფილა, — სთქვა მკრთალის და შეშინებულის ხმით ლექსომ. — იცით, ბიჭებო, ალს ფესებადის თმები აქვსო, აი... წამოილულლულა კიდევ ლექსომ. — მე სულ დავდნი შიშით, აღარ ვიცოდი რა მექნა.

— წიწწანავ, ეგ მე არ გითხარი! — შეუტია ჰავლეძი...

— დიდი ფრჩხილებიცა აქვსო. იმ ფრჩხილებს ვინც დააჭრის, იმას ალი მოსამსახურეთ წაჭკვებაო, თქვა ილიკომ.

— სერსელაანთ დემეტრეს ემსახურება აი თურმე, — თქვა კოტეძი. ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. თედომ ცუცხლი გააძლიერა, მე და ლექსო, აქამდის განაპირებულები, ჰავლესა და თედოს შუა ჩაკსნედით და ზურგი ცუცხლს შევუძვირეთ.

— ბიჭებო! თქვენ ჩვენებიანთ მახარეს სომ იცნობთ — აი მეველეთაც რომ იყო? — დაიწყო ილიკომ — იცით, ეგრე დღონებული რათ დადის? ერთიელ მახარე წასულიყო ტყეში წნელის მოსაჭრელათ. ეტარებინა ავ-სულს, ეტარებინა და ერთ დაბურულ ტყეში შეეკვანა... ძალე ღამესაც მოესწრო და მახარე ვეღარ გამოსულიყო ტყიდან; იქვე ჰანტის ძირში მიწოდლიყო და ჩასძინებოდა. უეცრივ ვიდასიც ხმა მოესმა თურმე ძილში... მოესმა ხმა და მახარე ლომივით ზეზე წამო-



ვარდა... მიიხედ-მოიხედა და, რომ ვერავინ შენიშნა, ისევ ისე მიწვა დასაძინებლათ. მეორეთ თურქე კიდევ მოესმა ხმა... მესამედაც... მასარე წამოვარდნილიყო ფეხსე, კიდევ მიეხედ-მოეხედა და ჰანტასე ერთი გრძელ-თმიანი დედაკაცი დაენახა... თურქე ეს დედაკაცი თმას ივარცხნიდა და თან მასარეს ხელს უქნევდა—აქ მოდიო. ამას ძალიან შეშინებოდა და ჰირჯვარი დაეწერა... დაეწერა ჰირჯვარი, ბიჭებო, და იმ ბებერ დედაკაცს კანკალი დაეწყო და მერე ტირილსაც მოჭეოლოდა. მასარეს კიდევ დაეწერა ჰირჯვარი.

— სამჯერ უნდაო, აი, ჰირჯვრის დაწერა,— აკანკალებულის ხმით წარმოსთქვა ლექსომ...

— ე წინააზნა რომ არ დააჯლის კაცს ლაზარაკს?! შეუტყის ბიჭებმა...—მერე, მერე ილიკო, თქვი, გენაცვას!..

— დაიწერა, ბიჭებო, ჰირჯვარი და ახსენა გორიჯვრის წმინდა გიორგი. ალი იმ წამსვე გამეჩრალიყო და მასარესაც ეპოვნა გზა და წამოსულიყო სახლში.

— ი დინ-ძაღლი, ის... როგორ ნდომებია და ქრისტეანი კაცის შეკდენა!.. თქვა ჰავლეძ.

— კიდევ კარგი, რომ ჰირჯვრის დაწერა მოჭკონებია, თორემ შენი მტერი, რომ ის მასარეს წახანდენდა.

— ეგა თქვი და!! იმ სატიალოს როგორი წვრილი ხმა ჭქონია?! თვითონ მასარემ ილაზარაკა: თურქე ისე წვრილ ხმასე გაჭკიოდა, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა, — განაგრძო ილიკომ.

— უი-მე დედავ! აქაც რომ მოვიდეს, რაღა გვემეკლენა, თქვა ლექსომ.

— ისეთს კეტსა ვდრწუნავ თავში, რომ თქვას: ეს რა დამემართათაო, დაუმატა თედომ.

— ბიჭებო! მართლად და აქაც არსად იუვენს ალი?! ვთქვი მეცა და შიშისაგან ძაგძაგი მომდიოდა.

— ალი განა ამისთანა ადგილებში დადგება? სამების ნიში თავს დაგვეუჩუებს, გამამხნევეს ბიჭებმა.

ცოტა ხანს კიდევ სიჩუმე ჩამოვარდა... უეცრივ, სადღაც შორს, მოისმა გაგრძელებული ხმა... შეშინებულმა ბავშვებმა ერთმანეთს შეხვდეთ... მე და ლექსომ სული გავნახეთ და თედოს ჩამოვეკონწიალეთ კისერზე.

— რაღაც ამბავია ჩვენს თავს—თქვა ილიკომ.

— ალი არის?.. მე შეშინიან აი... წამოილულულა ლექსომ.

— რისა გეშინიანთ? ვახსენოთ აბა წმინდა გიორგი, თქვა თედომ და ეველანი მოვეყვით ჰირჯვრის წერასა... მოისმა უმუილი... ჩვენ უფრო ავკანკალდით... ძაღლები დაიძრენ საიდგანდაც... ეველანი ფებსე წამოდგენ... მე და ლექსო-კი თითქო მიწას მივეკარით—ველარ დავიძარით ადგილიდან. ძაღვ ფეხის ხმაც მოგვესმა და აქეთ-იქით ცქერა დავიწყეთ. თითქო ხმაურობაც მოგვესმა ახლო. ჩვენ სულ ძთლათ დავილიყნით. რამდენათაც ძთვარისა და ვარსკვლავების ნათელსე შენიძნავდა კაცო—ვიღაც სულ ახლო მო-

ვიდა და დაგვიძახა კიდევ:—ნუ გეშინიანთ, ნუ, მე ვარ...
 ჰალიკო... სანდროს საძებნელათ დავდივარ! მანდ არის თუ
 არაო? ნამდვილათ ვიცანით, რომ ჰალიკოს ხმა იყო. უველან-
 ნი იმისკენ გავექანებით. მე ფეხები მეკეცებოდა. მიჰვლით
 ახლო და ჩვენი კვირტა-ცხენიც დავინახე. ერთ წუთს უვე-
 ლაფერი დავივიწყე. ჩავეკარ გულში ჩემს ჰალიკოს და აბა
 თუ ბიჭი იქნებოდა ვინმე მომგლეჯდა მისი გულიდან. მე
 კრინტი ხმა ვვლარ დავძარი და არც მესმოდა სხვები რა-
 სა ლაპარაკობდნენ. უეცრივ ცივმა ნიაჰმა მომბერა სახეზე
 და თვალები გამომაჭყეტინა. გათენებულიყო კიდევ. ჩემს
 თვალ-წინ ეგდო ერთი უშველებელი ტურბა, ჩვენი ძაღლები-
 ბისაგან გაგუდული და დაგლეჯილი. საქონელიც აიძალა
 და «ოდელიას» ძახილით ბიჭები მიერეკებიან სამოვრათ.
 მე და ჰალიკო უკვე შევსხედით კვირტასე. მე უკანასკნელათ
 გადავაფლე უძილობით ამღვრეული თვალები იმ ემაწვილებ-
 სა და მეჩე რა მოხდა სამ დღემდის მე ვვლარა გამიგია-რა.

ალ. ნათაძე.



გვირილა და ტორილა.

(ანდერსენის ზღაპარი)



აღაქ გარეთ, გზის ნაპირას, იყო გა-
შენებული ერთი სახლი. სახლს წინ
ამშვენებდა ჰატარა ბაღი, რომელშიაც
ხარობდენ სამბახები, ვარდები და სხვა
ევავილები. იქვე, ბაღის ღობეს ახ-
ლოს, მშვენიერ მწვანე ბალახებში
მოჩანდა ჰატარა ევავილი — გვირილა.
მზე გვირილას აგრეთვე ათობდა და
უმუქებდა, როგორც სხვა თვალსაჩი-
ნო ევავილებს ბაღში, ამიტომ გვირილა ყოველ ჟამს სა-
რობდა.

ერთ დღეს გვირილამ გადაშალა თავისი თეთრი სვე-
ტაკი ფურცლები, რომლებიც მზის სხივებსავეთ გარს ეხ-
ვია გვირილას ყვითელ გულს. გვირილა სულაც არა ჭფიქ-
რობდა იმაზე, რომ დახურულ ბალახებში მას ვერავინ ვერ
ხედავდა და რომ ის საწყალი ეველასათვის უცნობი ევავი-
ლია. არა, გვირილა სრული კმაყოფილი და მხიარული



იყო; მან დაუწყო მზეს მზერა, უცქეროდა და უურს უგდებდა ტოროლას, რომელიც მალეა ცაში ნავარდობდა.

იმ დროს, როცა ეველა ბავშვები სკოლაში იუვენ და სწავლობდენ, გვირილაც იჯდა თავის მწვანე ღეროზე და ისიც სწავლობდა მზისაგან, ევაუილებისაგან და ეველასაგან რაც-კი იმის კარძემო იყო; უნდოდა გაეგო ღვთის მონიჭებული სიკეთე და სიმშვენიერი; მოსწონდა ტოროლას გალობა, რომელიც გალობაში ლამაზათ გამოთქვამდა თავის გულის ზასუსს, რასაც სიტყვით ვერავის ვერ გადასცემდა, რაკი ლაზარაკი არ იცოდა. გვირილა აღტაცებული შეცქეროდა ბედნიერ ჩიტს, რომელსაც შეეძლო თავისუფლათ ფრენა და სიმღერა. გვირილას სულაც არა მურდა ტოროლასათვის ეველა ეს, თუმცა თითონ არ შეეძლო არც გალობა და არც ფრენა. «მე ხომ ეველაფერს ვხედავ და ეველაფერი მესმის, — ჭფიქრობდა გვირილა: — მზე მინათებს, ქარი მკოცნის; არა, დიდი ბედნიერი ვარ!»

* *
*

ბაღჩაში ევაოდა მრავალი მდიდარი და ამაუი ევაუილებიც, რომელთაც რაც უფრო ნაკლები სუნი ჭქონდათ, მით უფრო მეტათ თავს იღებდენ.

იორდასალაში იბერებოდა რაც-კი შეეძლო, რომ ვარდებზე უფრო დიდრონი გამოჩენილიყო, მაგრამ განა სიდიდესე არის საქმე! სხვა-და-სხვაფერის ზამბახებიც გაჭიმულიყვენ, უნდოდათ რომ იმათი სილამაზე უფრო შენიძნული ყოფილ-

იყო. ეველა ესენი სულაც არ აქცევდენ უურადლებას გვირილას, მაგრამ გვირილა-გი იმათ თვალს არ აშორებდა და ფიქრობდა: «რა ლამაზები და მდიდრები არიან! ალბათ ამათ ხშირათ ეწვევა სოლმე მშვენიერი ჩიტი... მადლობა ღმერთს, რომ მე ასე ახლოს ვარ და შემიძლიან აქედან მანაც ვუცქირო ამ მშვენირებს!» ამ დროს, როცა გვირილა ამას ჭფიქრობდა, ტოროლა მხიარული გალობით ჩამოეშვა მაგრამ სამბახებთან-გი არა, ბალახებში, საწყალ გვირილასთან. დიდი სიხარულისაგან გვირილა შეგონდა და არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. ტოროლა დასტოდა გვირილას კარძემო და გალობდა. «რა მშვენიერი რბილი ბალახია! რა მშვენიერი ვეავილია, როგორ უხდება ოქროს გული და ვერცხლის კაბა!» მართლაც და ვვითელი გული გვირილასი ოქროსა ჭკვანდა და ჰატარა სწეტაკი თეთრი ფურცლები ბრწყინავდენ, როგორც ვერცხლი. რა ბედნიერი იყო გვირილა! ტოროლამ თავის ნისკარტით აკოცა, გამოსამძვიდობელი ხმა უგალობა და ისევ განაგრძო ფრენა ცისფერ ცაში. რამდენსამე წუთს შემდეგ გვირილა გონს მოვიდა. აღტაცებული სიხარულით უცქეროდა გვირილა ბაღში მყოფ ვეავილებს: იმათ სომ ნახეს რა ბედნიერება მიანიჭა ტოროლამ გვირილას; ეველა ვეავილებს უნდა ეგრძნოთ მისი ბედნიერება! მაგრამ სამბახები უწინდებულათ ამაყათ იდგენ და სიბრახისაგან გაწითლებულიყვენ. კიდევ კარგი, რომ ლაზარაკი არ იცოდენ, თორემ გვირილას იმათგან მან მოხვ-



დებოდა. გვირილა ხედავდა და გრძნობდა, რომ ისინი ასეთის შურის თვალთ უცქეროდენ და საშინლათ სწეინდა.

* * *

ამ დროს ბაღში მოვიდა ზატარა გოგონა, ხელში ეჭირა ბასრი დანა, მივიდა ჰირდაჰირ სამბახებთან და დაუწყო მოჭრა. «ვაი, ვაი, — გაიფიქრა გვირილამ, — რა უბედურნი არიან! აი ბოლოც მოეღოთ იმ საწულებს!»

მოჭრილი სამბახები გოგონამ შინ წაიღო, გვირილას უხაროდა, რომ ის მიურეუბულ ადგილას ხარობდა და საწული უბრალო ევაგილი იყო. როცა მსე ჩავიდა, შეიხვია ევაგილის ფურცლები და ჩაიძინა, ძილში ესიწრმა მსე და საუვარელი ტოროლა.

დილით, როცა გვირილამ ჩვეულებრივ მსეს გადუშალა ხელებისავით თავისი ზატარა, თეთრი ფურცლები, მოესმა ნაცნობი სმა ტოროლასი; მაგრამ ისეთი მხიარული-კი არა, როგორც კვლავ, საშინელი დაღონებული, გულ-საკლავი. საწული ტოროლა დაეჭირათ, გალიაში დაემწყვდიათ და გალია ღია ფანჯარაში დაეკიდნათ. გალობდა დაკარგულ თავისუფლებასე და ჭაერში მხიარულ ფრენასე. გალობდა დაკარგულ მინდვრის ნორჩ უნებსე და საუცხოვო მოგზაურობასე. საცოდავი ჩიტი გალიაში საშინლათ დაღონებული იყო. გვირილას გულით და სულით უნდოდა ტოროლას შველა, მაგრამ რა უნდა ექნა? ვერაფერი ვერ მოახერხა საცოდავმა. დაავიწყდა ეველა ის სიმძვენეიერე, რომელიც იმას

გარს ეხვია, მისი სითბო და ფურცლების სილამაძე, და-
ავიწედა უველაფერი და მარტო დატყვევებულ ჩიტსე-ლ ჭფი-
რობდა, რომელსაც ვერაფერს უშველიდა.

* * *

როცა კვირილა ამ ფიქრში იყო, ბადიდან გამოვიდენ
ორი ბიჭი, ერთს ხელში ეჭირა დიდი ბასრი დანა. ბიჭები
მივიდენ ჰირდაჰირ კვირილასთან, ეს ვერ მიმხვდარიყო რა
უნდოდათ მისგან.

— აქ შეგვიძლიან მოვჭრათ მწვანე ბელტი ტორილა-
სათვის, — თქვა ერთმა ბიჭმა და მოთხარა კვირილას. გარ-
შემო ოთხ-კუთხიანი მიწის ნაჭერი იმ დიგათ, რომ კვი-
რილა შუაში მოჭყვია.

— ეგ უვაჟილი მოსწევიტე! — უთხრა მეორემ და კვი-
რილა შიშისხარმა აიტანა, თუ მომწევიტეს სომ მოვკვდე-
ბიო.

ახლა-კი კვირილას უნდოდა სიცოცხლე, რომ ბელტი-
თან ერთათ ტორილასთან გალიაში მოხვედრიყო.

— არა, ნუ მოვწევეტო, აქ დარჩეს, — მიუგო ჰირ-
ველმა ბიჭმა: — უვაჟილით ბელტი უფრო შვენის.

კვირილა დარჩა უვნებელი და მიიტანეს ტორილასთან
გალიაში.

საწყაღი ჩიტი დიდათ ნაღვლობდა დაკარგულ თავი-
სუფლებასე და სიმწარით იქით-აქეთ აწელებოდა. კვირილას
გამოთქმა არ შეეძლო, მაგრამ სურდა-კი ერთი მანუგეშებე-



ლი სიტუაცია მანც ეთქვა ტოროლასათვის. ასე გავიდა მთელი დღი.

— აქ ერთი წვეთი წყალიც არ მოიპოება! — წამოიძახა ტოროლამ. — ეგელანი წასულან და დავიწეებიათ ჩემთვის წყალი დაეღვათ. ეელი მიძრება... შიგნით სიცხე მაქვს, მცირა, სუნთქვა მიჭირდება! ოხ, ღმერთო ჩემო, მოკვდები, განვძორდები ბრწეინვალე მხეს და მწვანე მინდორს.

* * *

საცოდავი ჩიტი ნისკარტით ბელტს ჰქექდა, რომელიც ბიჭებმა მოუტანეს, რომ ცოტათი მანც გაკრილებულიყო და ამ დროს დაინახა გვირილა. ტოროლა მიესალმა, ჩაკონა და უთხრა: «შენც დაჭკნდები აქ, საცოდავო ჰატარა ევავილო!»

«ბორბობა კაცმა მთელი ქვეყნიერების მაგივრათ, რომელიც შეონდა, როცა თავისუფალი ვიყავი, მომცა მარტო შენი თავი და ეს ბელტი. იმას უნდა რომ ყოველი ნამცეცი ამ ბალახებისა იუოს მწვანე ხეების მაგიერი და ყოველი შენი ევავილის ფურცელი — სურნელოვანი ევავილი».

«ოხ! ნეტავი შეემდლოს ცოტათი მანც ვანუგემო რითიე ეს საცოდავი!» ჭფიქრობდა გვირილა, მაგრამ არც ერთი ფურცლის განმრევაც აღარ შეემდლო, მხოლოთ სუნი, რომელიც სდიოდა იმის ფურცლებს უფრო სურნელოვანი იყო, ვიდრე ჩვეულებრივ; ეს იგრძნო ტოროლამაც, და, თუმცა წუწრვილი საშინლათ აწუსებდა და ხან ერთ ბალახს

ჭკლეჯდა, ხან მეორეს, გვირილას მანაც არ შეესო. დადგა საღამო და საწყალ ჩიტისათვის წყალი არავის მოჭქონდა. ვედარ მოითმინა, ჩამოუშვა ფრთები, აკანკალდა, დაიწყო შესაბრალებელი ხმით ცალობა... თავი გვირილასაკენ გადახარა და სამუდამოთ სული განუტევა.

საწყალ გვირილასაც სიცოცხლე ესპობოდა; აღარ შეეძლო ფურცლების შესკევა, როგორც წარსულ დამეს, შეწუხებული თავი მიწაზე დაღუნა.

მეორე დღით ბავშვები ოთახში შევიდნენ, დაინახეს ძველარი ტორილა, მწარეთ ტირილს მოჭქვენ, გაუთხარეს საფლავი, მორთეს ევაჯილების ფურცლებით, ჩასვენიეს საბრალო ტორილას გვაში ლამაზ წითელ კოლოფში და მეფურათ დასაფლავეს. როცა ტორილა ცოცხალი იყო და ცალობდა, ბავშვებს ავიწყდებოდათ ის, ცალიაში უჭმელ-უსმელათ სტოვებდნენ, ახლა-კი, სიკვდილს შემდეგ, დაუწევს ქება, დიდება და გლოვა.

ბელტი გვირილით ტალახიან გზასე გადააგდეს. არავინ არ იფიქრა იმაზე, ვისაც ეველანზე უფრო უევარდა საწყალი ტორილა, და ვისაც ისე საშინლათ უნდოდა მისი ნუკემის-ცემს.

ე. მიქაბერიძისა.

(რუსულიდან)






გ ა მ' ო ო ო ო ო ა .


(წამოდგენილი ალ. შიუგაშვილისაგან).

თუ ბიჭი ხარ გამოიციან
 მე სახელათ რა მქეიან,
 მუშაობისთვის მხათა ვარ
 აღრე მეტყუი თუ გვიან,
 თუმცა ყველა ვასაზრდოვებ
 მე მაინც ისეე მშიან,
 ხან რკინის ჯოხითაც მცემენ,
 მასუსტებენ და მხლიან.



დასცქერდით რამდენი თავია დახატული?





პამა დაბრუნდა!



ობის წინა ღამეა. ჩილიგდრიანთ პატარა ოთახი ცეცხლის მუქით არის განათებული. კერას პირას ტასია გახურებულ კეცებზედ ჭადის გუნდებს აკრავს და ცეცხლს უყუდება გამოასცხობად. აქვე ჭილობის ნაგლეჯზედ მოკეცილები სხედან იმისი სამი შვილი და დედის მუშაობას თვალს ადევნებენ, ჭადის გამოცხობას მოუთმენლად ელიან. ტახტზედ წევს ლოგინად ჩავარდნილი ტასიას დედამთილი ნენე და ესეც ცეცხლს შეჰყურებს და მის მკრთალ მუქზედ თვალთ-წინ იყენებს თავის შვილებს, ათას მთას იქით გადაკარგულებს, რუს-იაპონიის ომში გაგზავნილებს.

— „ნეტა თუ ცოცხლები ხართ?“ ფიქრობს ნენე და თან იმის ნისლ-გადაკრული თვალებიდგან ცრემლი-ცრემლს მოსდევს და გადღედილ გულ-მკერდზედ ნიაღვარივით იბნევა. — „რომელი ერთი გი-



ტიროთ, რომელ ერთზედ შევაყენო ჩემი მწვაფი; გულის გამფათრი მოგონება!.. ძვირფასო, საყვარელო შეილებო! ნეტა ერთი სიტყვით, ერთი კალმის მოსმით მაინც გენუგეშებინეთ... ვინ იცის გტკივათ რამე, გშიათ, გწყურიათ და ვაგლახი დედა-კი თავს ვერ დაგტრიალებთ... ოხ, ოხ! განგებაე, რად მომასწარ ამ დროს, რად არ მოუღებ ბოლოს ჩემ გაძალღებულ სიცოცხლეს!..”

ბების ოხერაზედ, პატარა ლექსუაც ოხრავს, იმასაც საყვარელი მამა აგონდება და დედას ეუბნება: „მართლა, დედილო, ასე ამბობენ ბიჭები—ომი გათაყებულაო, „ზაპასნები“ აბუნტებულან და შინ დათხოვნა უთხოვნიათო. მამაც ხომ „ზაპასნია“?

— ომი დიდი ხანია გათაყდა, გენაცვალოს დედა.—ამოკენესით უპასუხა ტასიამ თავის ბიჭუნას და ცრემლებით სავსე თვალები იქით მიიღო და კაბის კალთით მოიწმინდა.

— მაშ მამა რატო არ მოდის? აკი ამბობდი ომი გათაყდება თუ არა მამა სახლში დაბრუნდებაო!—ახლა ნუშო შეეკითხა დედას, მაგრამ რაკი პასუხი ვერ მიიღო, ლექსოს მიუბრუნდა:

— იცი, ბიჭო, რას ამობს გონგლადიანთ სოსე? ის ქვეყანა, საცა ომი არის, აქედგან სამი თვის სავოელი არისო.

— ჰაი, ჰაი, რომ სამი თვისა-კი არა მეტისაც უნდა იყვეს! ამბობენ აქ რომ ეხლა ზამთარია, თოვლი მუხლებამდის დევს; იქ ისეთი სიცხეა, რომ ყანები იშვისო!—დიდის სიღარბისლით მიუგო დას ლექსუამ.

— ნეტა თუ მამა ეხლა ყანასა მკის და თან ოპუნას დასძახის?..—დაღონებით სთქვა ნუშომ.—იქნება ბიძია გიორგაც იმას შეეღლის! ჩვენ-კი რაცა ხანია პური აღარა გვაქვს. წელან რო მამიდას ჭადის ფქვილი ვთხოვე, ისე დამიტატანა, რომ კინალამ უკან მივყარე.. მოიცადოს, მოიცადოს მამა მოვიდეს. იმის თავი კიდევაც დასჭირდება...

— მეც კინალამ ხელი არა მკრა ნათლიამ, ერთი იღლია შეშა რო ვთხოვე ჭადის გამოსაცხობათ... „გაჭირეთ საქმეო“, დამიღრიალა. მამა-კი რო აქ იყო, ჩვენ ყველას ვემზობლობდით...

დედა და ბებია ბალებების ტიკტიქზედ მწარეთ აქვითინდნენ და ამითი შესწყვიტეს იმათი სამწუხარო ბაასი. ცეცხლი მინელდა და ოდნავ-ლა ანათებდა. ოთახში საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა, დიდი და პატარა ძვირფას დაკარგულების მოგონებაში იყვნენ შთანთქმულნი. უცებ კარები ჭრიჭინით შემოიღო და ვიღაც მათხოვარა შემოვიდა სახლში.— „მშვიდობა აქაურობას!“ აკანკალებულის ხმით სთქვა მოსულმა და დაუპატიჟებლად ბებიას ლოგინთან დეეშვა ტახტზედ.

ტასია ფეხზედ წამოხტა, შეილები კალთებზედ დაეკოწიწნენ და შიშით შესცქეროდნენ დაფლეთილ-დაგლეჯილ, ტალახში ამოსვრილ მაწანწალას.

— ტასი, დედაკაცო! წყალი მასვი, გული მიწუხდება... — ძლიე-ძლიეობით წაიტუტუნა ბოლოს სტუმარმა და სასაწარკვეთილებით ნენეს სართუმალზედ თავი დადო.

— შეილო გიგო! — შეჭყვირა ავანტყოფმა და გულში ჩაიკრა დავ-რდომილი. — შენ გენაცვალოს დედის თვალები!.. ცოცხალი ხარ?... უკან დაგიბრუნდი? მადლი ჩემს გამჩენს!

— გიგო!? — შეჭყვირა ტასიამ. — გიგო?! აგრე გაუბედურებული, დამახინჯებული... ნუ თუ შენ ხარ ძვირფასო, საყვარელო?! — და ტასიამ იმის წინ დაიჩოქა და ძონძებში გახვეულ მუხლებზედ მოეხვია. — ჩემო მშვენიერო ვაჟკაცო, სოფლის თვალო ახალგაზდაე, ვინ გაგაუბედურა, ვინ მოგთხარა ჩემი სიამაყე, ჩემი შუქ-მფენი თვალი?! რატო დედამიწა არ გაუსკდება შენ ტასიას და თან არ ჩაიტანს რომ შენ მაგგვარად დამახინჯებულს გხედდეს!.. სად არის შენი ბრგე მუშა, მოღვაწე, ოჯახის მარჩენელი ხელი!.. — მოსთქვამდა ტასია და ხელის შეხებით რწმუნდებოდა ქმრის უბედურებაში. შეილებო! გოგო-ბიჭებო! რას ჩამომდგომინართ. მოდით ემთხვეით თქვენ უბედურ, მტარვალთა მსხვერპლს მამას! ნახეთ რა რიგათ დაგიბრუნდათ თქვენი საყვარელი მშობელი!

მამას!.. მამა არის? — ეჭვით კითხულობდა ლექსო და წინ წადგო-



მის მაგიერად, კედელს ეკროდა, ცახცახებდა. მამა—გლახა? ცალ-ხელა, თვალ-გამოთხრილი!

— ფეხშიშველა, გაუკრეჭავი, პირდაუბანელი... ტუტუნებდა ნუ-შო და ძმას ეკროდა, შიშისაგან თრთოდა.

— ერთი წელიწადია, მხოლოდ ერთი წელიწადი, რაც ჩემ ოჯახს მამგლიჯეს, ჩემ პაწაწა შეიღებს, მოხუცებულ დედას, ცოლს, მშვენიერ ჩემ ქვეყანას დამაშორეს და ამ მოკლე ხანში რას დავეგვანე? ქვითინებდა გიგო. რად მოველ აქ? ვის რალად უნდივარ, რის გამოსადეგი ვარ! დაქცეულ ოჯახს მეც მეტ ბარგად უნდა გაუხდე... მაგრამ გული და სული თქვენთან იყო განუშორებლად, ერთხელ მაინც მინდოდა თვალი გადამეელო ჩემი ძვირფასებისთვის... თქვენ-კი უარს მყოფთ... შეიღებო! ცალ-ხელას, თვალ-გამოთხრილს, ნუ თუ მამობაზედ უარს მეტყეით?.. ოჰ! ღმერთო, ღმერთო, შემობრალებე..

— ტასია, ქალო! გონს მაღი. ადგე, უპატრონე მგზავრს, დალა-ლულს... წყალი გაცხელებე, დახეთქილი და გაყინული ფეხები დაბანე, პირზედ წყალი შეასხმეინე, ვახშამი აჭამე...— გულ-ამოსკენილი ეუბნებოდა ნენე თავის რძალს, რომელიც გაქვავებულივით მუხლ-მოდრეკილი იდგა გიგოს წინ და გონს ვერ მოსუთლიყო.— ღმერთს მადლობა შესწირე, შეილო, რომ ცოცხალი დაგვიბრუნდა, ამის ხმა კიდევ გავიგონეთ...

— შენ, ლექსო, რას გაშტერებულხარ სულელივით, წადი მამიდასთან, დაუძახე, უთხარი რომ მამა მოვიდა. თან ერთი ბოთლი ღვინო წამოიღოს, ხორციც თუ აქვს... ჩქარა. ხომ ხედავთ კაცი ფეხზედ ველარა დგას, იქნება რამდენიმე დღეა მშიერი არის.

ღმერთო,—მადლობას გწირავ რომ ადამიანათ ვიქვეც კიდევ!—ამო-ოხერით სთქვა გიგომ და სიამოვნებით გადიცვა თავის ქუჭყიან ნა-გლეჯებს შემდეგ ის პირისფერი სუფთა პერანგი, რომელიც წასვლის წინათ შეუკერავი დარჩა შარშან ტასიას. სუფთა პერანგზედ ნაკლებ

არ ასიამოვნა ცხელმა წყალმა და საპონმა სამი-ოთხი თვის დაუბანელ-დაურეცხელი მოგზაური; თბილმა და სუფთა ლოგინმა ხომ უმაღლესი სიამოვნება აგრძობინა; იმის სუფთად დაბანილ პირისახეზედ ტკბილი სიამოვნების ღიმილი გამოიწვია და ცოლს ღმობიერათ მადლობა გადაუხადა.

— ღმერთმა, ღმერთმა გადგიხადოს შენი ამაგი, დედაკაცო, თორემ მე, უძლურს, რილათი შემიძლიან.— ტასია ცრემლით საფე თვალებით დაულალაეთ თავს დასტრიალებდა გიგოს, უფლიდა, ულოლიაებდა, ვახშამს უმზადებდა, დაერდომილი ნენე კი მხოლოდ ცქერათ იყო ქცეული და განუწყვეტლივ სცვივოდა სინარულის ცრემლები.

მალე გიგოს დაც მოიქრა, იმას მოჰყენენ იმისი ქმარ-შვილი, მეზობლები და ნახევარ საათში სახლი გაიშრა ცნობის მოყვარე კაცით და ქალით. ყველას თითო რამ მოჰქონდა ახლად მისულისთვის. ზოგს შვეშა, ზოგს ცხელი პური, ზოგს შუშით არაყი, ღვინო, „საშობაო“ ღორის ნაჭკრი. გასუფთავებული, გამთბარი და საყვარელ არსებებებთან გარშემორტყმული, გიგო ყოჩაღათ ესალმებოდა ყველას და ყველაფრისთვის მადლს უხდიდა.

— რა გითარათ, რა ენით ვიამბოთ,— ყველას გამოკითხვაზე ეუბნებოდა გიგო,— როგორ ავიწეროთ ეს უზომო, საშინელი ტანჯვა და ვაგლახი, რომელიც რუსის ჯარის კაცმა გამოიარა იმ წყეულ ომში! სიცივე, სიტეტლე, სიმშლი და დღე და ღამე თვალ წინ უღმობელი მტრის ტყვიის ცეცხლი! სად მივდიოდით, რა გზით, რის გულისთვის? ხან უღმობელი ყინვა და ხან ჯოჯოხეთური სიცხე სისხლს გვიშრობდა. მივდიოდით წინ და სულ წინ მივდიოდით, თუმცა აღარც ძალა და აღარც ღონე წინ სელიათვის არ მოგვდევდა. მაგრამ გაჩერება, შესვენება განა ჩვენ ნებაზედ იყო. მიგვერეკებოდნენ უფროსები და ჩვენც მივდიოდით. ბევრი ეცემოდა გზაზედ და ნახირივით მიმდინარე ჯარის ზღვა დაცემულზედ ზედ გადადიოდა და სრესდა. დღე, ღამე, თოვლში, წვიმაში, სიცხეში, სიცივეში ერთ-



ნაირად შეუყენებლივ მიედლიოდით და ერთს და იგივე დაგლეჯილ დაფლეთილ ტანისამოსში ხან ვიყინებოდით და ხან ვიწოდით. სასამელ-საჭმელზედ რაღა გითხრათ? ბევრჯელ სამ-ოთხ დღეს ლუკმას ვერ დაეინახავდით თვალით, ბევრჯელ დამყაყებულ, ქვათ ქცეულ „სუხარს“ წვიმის წუმპეში ვალბობდით და ამ საშინელ ტალახით შევექცოდით. ასე დაღალულ-დაქანცულნი, შიმშილით მოწყვეტილნი შევეყრებოდით მტერს და ისიც ცხვრებივით გაგვაბრუნებდა ხოლმე უკან და მივრბოდით, მივრბოდით მანამ არ დავეცემოდით. საშინელი იყო მეტადრე ლაიონიდგან უკუქცევა. ღმერთო ჩემო, როგორ შემყვა გონება, როგორ ავიტანე ის საშინელება! ზარბაზანი, ცხენი, ბარგის ურემი, ქვევითა ჯარი, ცხენოსანი, სალდათი, აფიცერი სულ დომხალივით აირია ერთმანეთში! ყველანი მივრბოდით, დიდ მდინარესავით მიდიოდა ორასი ათასი უკან დახეული დამფთხალი ჯარი და როგორც აზვირთებული მდინარე, ისე თან მი-აქანებდა რაც-კი წინ დაუხედებოდა და ფეხზედ ვერ გამაგრდებოდა. ათასობით ხალხი, ურემი, ზარბაზანი უფსკრულში ცვივდებოდა, იჭყლიტებოდა, მიწასთან სწორდებოდა.

წივილი, კივილი, კენესა, წყევლა-კრულვა ისმოდა გარშემო, მაგრამ გასაგონათ ვის სცალოდა. ყველა თითვეული მხოლოდ თავის თავის დაცვას ცდილობდა, თუმცა ეს დაცვაც ისე რაღაც პირუტყული, შეუგნებელი იყო. ორი დღე და ღამე შეუყენებლივ მიედლიოდით მუხლებამდის ტალახში, ზარბაზნები იფლებოდნენ, ცხენები ცვივოდნენ და მათ მაგივრათ სალდათებს აბამდნენ, უმფროსებს ავიწყდებოდათ რომ ცხენების მაგივრად წელში გაწყვეტილი ადამიანები ებნენ და ცხენებივით მათრახით მიერეკებოდნენ. მესამე დღეს შევდექით ერთ მაღლობზედ, სული ამოვითქვით და მაშინვე პარქვე დავეცით და მკვდრებივით დაგვეძინა. როცა გამოვფხიზლდი პოლკის მუზიკა უკრავდა „ზარის“ ტკბილ ხმას და ის ხმა სულის სიღრმემდინ ჩამყვა და ტირილი დავიწყე, ღმერთს მაღლობა შევწიჩე სიცოცხლის შერჩენისთვის. ღამე იყო, გარშემო დიდ მანძილზედ

ჯარი იყო დაბნაკებული და აქა-იქ დანთებული ცეცხლები დედა მიწაზე ამობრწყინებულ ეარსკვლავებზევით ბჭუტაედნენ. განძრევა ვერ შეეძლო, სულ მთლად დამტყრეული ვიყავი, მეტადრე ფეხები მიეღაედა და მეწოდა.

— რად ტირი?—ტირილის ხმითვე შემეკითხა ჩემ გვერდით მწოლიარე ჯარის კაცი.

— სიხარულით, რომ ცოცხალი ვარ.

— გიხარიან რომ ცოცხალი გადარჩი?—გაუკვირდა იმას.—განა არ სჯობდა ძილში იმ სოფლად გადაესულიყავით?

— განა ბევრი გვეძინა?

— მთელი სამი დღე და ღამე, მიპასუხა იმან.

— რა იცი, კაცო, როგორ გაიგე?—გაოცებით ვკითხე მე.

— წელან აფიცერა ეუბნებოდა თავის „დენსიკს“, ოც-და-ექვსს გაეჩერდით ამ მაღლობზედ და დღეს, ოც-და-ცხრას, მხოლოდ მტრის ზარბაზნის ხმამ გამოგვაღვიძაო.

ამ ლაპარაკის დროს საშინელი შრიალი, ჰაერის ზუზუნის მოის-მა და მოწყვეტილი ეარსკვლავივით გაეარეარებულმა ყუმბარამ გა-ღუარა ჩვენ ბანაკს და მახლობლად გასკდა. დედამიწა შეინძრა. ყუ-რები დაგვეცო, შიშის ზარმა გონება დაგვიკარგა.. პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და მთელი ბანაკი ცხერის ფარასავით აბღაელ-და, კიდევ გაქცევა დააპირა, მაგრამ სად წაფილოდა, ღამის წყელია-დი ჰფარაედა არე-მარეს, გზა და კვალი კი არავინ იცოდა! ყუმბარე-ბი კი ხედებოდა და ბლუჯ-ბლუჯათ ჰკლევდა ერთმანეთში არეულ ჯარის კაცებს.

მე ჩემ გვერდით მწოლარე ამხანაგს ხელი ხელზედ წაუვლე, გვერდზედ მივეკარ, ამანაც ჩემკენ მოიწია, ორთავემ ზეცას შევხე-დეთ და ჩვენ ჩვენ ენაზედ ლოცვა დავიწყეთ, ღმერთს მივენდეთ... ამ დროს ზმულილი მოისმა და ჩვენ გვერდით ყუმბარამ დაიჭეკა...

— ღმერთო, ღმერთო!—მეწყვირეს შიშით გიგოს მსმენელებმა

და ყველამ სასოებით პირჯვარი გადიწერა. ლექსო და ნუშო ერთ-მანეთს გადებვიდნენ და მალლა ღრიალი მორთეს...

— როცა გონს მოვედი, — განაგრძო გიგომ — ლაზარეთში ვიწვექი, მარცხენა ხელის მაგივრად მაგრად შეკრულ მხრის თავს-ლა ამოეყო თავი და მარცხენა თვალის ალაგას თეთრი ტილოს ნაფხრეწით შეხვეული ნახევარი პირისახე დაეინახე.

— დადექ თვალებო! — შეჰკივლა ტასიამ. — ვაი დედაშენს! ამოიკენესა ნენემ.

— ჩემ გვერდით, ჩემებრ დამახინჯებული და ნაკუწ-ნაკუწათ ქცეულნი ვაჟკაცი ეყარნენ. მთელი ოთახი კენესა-ვაებით იყო საესე. ექიმი და სესტრიცები *) იარებს უხვევდნენ. მარჯვენა თვალის-დგან ცრემლები გადმომცვივდა და გულზედ მარჯვენა ხელი დავიკარი: ვაიმე, ვაიმე! რალათ ვართ ცოცხალი-მეთქი.

— წყნარად, ნუ ინძრევი, ძმობილო, — ნაზის ხმით მითხრა ერთმა სესტრიცამ და როგორც ატირებულ ბავშს თავზედ ხელი გადამისვა. — ნუ ინძრევი, თორემ ჭრილობა ჯერ არ გაგმთელებია და სისხლად დაიღვრები...

ამ სიტყვებზედ გიგოს ქვითინი წასქდა და უსუსურად ლოგინზედ დაეცა.

სახლში სიჩუმე ჩამოვარდა, ყველანი შავ თიქრებში იყვნენ გართულნი. ყველას გულში სიბრალული იყო გამეფებული.

— ეხლა წადით... — ჩურჩულით უთხრა ნენემ მეზობლებს. — ძრიელ დაღალულია... მწუხარება ახრჩობს... დეე მოისვენოს...

ეკ. გაბაშვილისა.

*) დანი სათნოებისა, ის კეთილნი ქალნი, რომელნიცა რამში მიდიან და იქ უკვლიან, მატრონობენ დაჭრილებს.



უგულო ბავში.

გაგრძელება *)

(მოთხრობა მონგოლებისა)



ასადილევს ვირჟინი ეკლესიაში წავიდა, თავისი გაზდილები-კი გოგოს ჩააბარა. ჯორჯს ვაკვეთილი მისცეს მოსამზადებლათ, ვილლი-კი გოგოს ჩაუჯდა კალთაში და საღმრთო ისტორიის მსხვილ წიგნში ნახატებს დაუწყო თვალღებვა.

ლაზარის აღგენას რომ მიადგა, ვილლიმ იკითხა, ეს რა არისო. გოგომ, რომელიც დარწმუნებული იყო, ბავშვებთან სიკვდილზე ლაპარაკი არ ეარგაო, არაფერი უპასუხა და მოინდომა, გადაებრუნებინა ის ფურცელი, რომელზედაც ლაზარე იყო დახატული, მაგრამ ვილლის თავიდან მოშორება ასე ადვილი არ იყო. მან დაადგა ხელი ნახატს და ჩააცივდა გოგოს, მაინც და მაინც მითხარი, ეს რა არისო.

— რატომ არ გინდათ ამხსნათ? — დაჟინებით ჰკითხავდა ბავში.
— რა არის ეს შავი ორმო? ეს რა კაცი ამოდის იქიდან? რათ აცვია თეთრი ტანისამოსი?

ამ დროს ჯორჯმა მიიჩინა მათთან.

*) იხილეთ „ჭკვილი“ № X—XI.



— რა ამბავია? — იკითხა მან, და როცა გაიგო, რაშია იყო საქმე, დაწვრილებით უამბო ვილლის ყველაფერი, რაც-კი ამ ნახატის შესახებ თავისი დედისაგან გაეგონა.

მალე ქვედა სართულიდან სერ ევერარდის ხმა მოისმა.

— ბავშვებო! — იძახოდა ის. — მე და ჩალოსი სასეირნოთ მივდივართ. რომელს გინდათ ჩვენთან ერთად წამოსვლა?

სიტყვიერი პასუხის მაგიერათ ბავშვები რახან-რუხით ჩამოგორდნენ კიბეზე.

ჩვეულებრივათ, როგორც ყოველ კვირა დღეს, სერ ევერარდი თავისი მამულია დასათვალისწინებლათ წავიდა. ყველამ ერთათ მათ დაიარეს თავლა და საჯინბოები, დაიარეს მინდვრები, სადაც თივის ზეინები იყო დაგროვებული და ყანები, სადაც პური ოქროსფრათ დელავდა. სეირნობა დაბოლოვდა წალკოტის კარებთან, რომლის იქითაც მშვენიერი არე-მარე ჩნდა.

— ერთი ორი კვირა თუ კიდევ ასეთი დარი იქნა, კარგი პურის მკა გვექნება, არა, ჩალოს? — ჰკითხა ცოლის ძმას სერ ევერარდმა.

— რასაკვირველია, მშვენიერი პურის მკა იქნება! — გამოაცხადა ჯორჯმა, რომელსაც, ჰკითხა დენ თუ არა, ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში თავისი აზრი უსათუოთ უნდა წარმოეთქვა. — იმდენ პურს მოემკით, რომ შესანახავ ადგილსაც ვერ ვუშოვით!

— ეგ-კი არაოდეს დაგემაართნია! — გაიღიმა სერ ევერარდმა. — მაგრამ... თუ შენი წინასწარმეტყველობის პირველი ნახევარი გამართლდა, ჩვენ მაშინ დიდი ღვინო და ცეკვა უნდა გავმართოთ, და შენ და ვილლიც იცეკვებთ. თქვენ ამოირჩევთ ყველაზე ლამაზ პატარა ქალებს მთელ სოფელში.

— ოო, მე წინ-და-წინვე ვიცი, ვისთან ვიცეკვებ! — წამოიძახა ჯორჯმა, რომელიც წალკოტის ჰიშკარზე შემჯდარიყო და ფეხებს აქანავდა. — მაგრამ ის პატარა ქალი არ არის, დიღია, და არც ლამაზია. მე პატარებთან ცეკვა არ მინდა.

— ეინ არის ეს ბედნიერი ქალი, ჯორჯ?— გაიცინა ბიძია ჩარლს-მა.— ეინ არის შენი გულის მფლობელი და ქალბატონი?

— ის ქალბატონი სრულიადაც არ არის!— აუხსნა ჯორჯმა.— ის დოლლია, ჩენი სოფლის ქალიშვილი. სიდაური ქალბატონია? მკლავები მუდამ წაკაპიწებული აქვს, და ხელები ისეთივე წითელი, როგორც ლოყები!

— ის ქალბატონათ მარტო კვირაობით იქცევა ხოლმე!— ჩაერია ლაპარაკში ვილლი.— კვირაობით სახელოები ჩამოშვებული აქვს და ფეხსაცმელებზე თეთრი ფოლაქები უკვრია.

— ეგ სრულებითაც იმას არ ნიშნავს, რომ ის კვირაობით ქალბატონათ ხდება!— გულმტკინეულათ აუხსნა ჯორჯმა, რომელსაც ყოველთვის ძალიან ეცოდებოდა ვილლი. ვილლის ხომ არაფერი არ ესმოდა, ჯერ ისეთი პატარა იყო.

— შენ, ვილლი? შენ ვისთან იცეკვებ?— ჰკითხა უნცროს ვაჟს სერ ვეერარდმა.— მე დარწმუნებული ვარ, რომ შენ სულ პატარა, სულ პატარა ქალს ამოირჩევ ვისმე!

— მე ჩენი მეკარეს ქალთან მინდა ვიცეკვო!— გამოტყდა ვილლი.— მის მეტი არც ერთი ქალი არ არის ჩემზე უფრო პატარა!

— ძალიან კარგი!— ღიმილით გამოაცხადა სერ ვეერარდმა.— მაშ ორივეს ამოგირჩევათ კიდევაც ვისთან იცეკვებთ. შენ, ჯორჯ, ყველაზე წინ იქნები შენი მსხვილი დოლლით ერთათ, შენ, ვილლი, უკანასკნელი იქნები იმ ერთათ ერთი პატარა ქალით, რომელიც შენზე პატარა არის. მშვენიერება რამ იქნება!

— როდის იქნება ეგ ღონი, მამა?— შეეკითხა მოუთმენლათ ჯორჯი.— დანიშნე დღესვე, ახლავე, მკის დღე!

— აი, როცა ეს ყვითელი თავ-თავი სულ კარგათ დამწიფდება, მაშინ.— უპასუხა მამამ.— მაშინით მოემკით, ისე რომ დიდხანს არ მოგუნდებით.

— მე ყოველ დღე ვივლი ყანაში და თვალ-ყურს ვადევნებ თავ-თავის დამწიფებას!— გამოაცხადა ვილლიმ.

— მე-კი კიდევ უკეთ მოვიქცევი!—წამოიძახა ჯორჯმა, ჩამობ-
ტა კარებიდან და რამდენიმე თავ-თავი ძირიანათ ამოგლიჯა.—ამათ
სახლში წავიღებ და ყოველდღე ვნახავ, მწითფდებიან თუ არა!

— ნამეტანი აღრე მოწყვიტე, შე დაუდევარო!—უთხრა მამამ —
აწი ეგ თავ თავები ველარაფრით ველარ დამწითფდებიან!

ჯორჯი წყენით დააჩერდა თავ-თავებს.

— სულ ვერ ვიფიქრე მაგაზე!—ამოიოხრა მან.

— აღარაოდეს აღარ დამწითფდებიან!—დალონებით თქვა ვილ-
ლიმ.

— ნუ სწუხარ, ვილლი!—მოფერებით უთხრა ჯორჯმა უნც-
როს ძმას.—ამათ ჩვენ ბაღში, ძალიან მზიან ადგილს დავრგავ, იქ
მიწა უკეთესია ვიდრე აქ, აგერ ნახე რომ იქ უფრო დიდი და უფ-
რო ლამაზი გაიზდებიან ვიდრე აქ გაიზდებოდენ!

ვილლიმ დაუჯერა და დამშვიდდა.

— ცხელა!—გამოაცხადა სერ ვეერარდმა.—იქითკენ გავიაროთ,
ტყისკენ!

ბავშები გადახტენ ლობეზე და გაეშურენ პატარა ტყისკენ. უფ-
როსები აუჩქარებლათ გაჰყვენ უკან. ტყეში ყველა მწვანე მოლზე,
ხის ძირში გაწვა. ბავშები ჩააცივდენ მამას, რამე მოგვიყევიო.

— ეგ ჩვენ მეზღეაურს სთხოვეთ!—მიუთითა სერ ვეერარდმა
ჩარლსზე.—მაგას უფრო კარგი ამბები ეცოდინება ჩემზე!

ჩარლსი მშვენიერი მოამბე გამოდგა. ის ცოცხლათ და ლამა-
ზათ უწერდა ბავშებს თავის თავ-გადასაყალს ზღვაზე და ხმელეთზე,
ბავშები გატაცებით უგდებდენ ყურს.

მზე ჩავიდა, აგრილდა, მინდორს გრძელი ლანდები მოეფინა,
ბავშები-კი სულ იჯდენ და იჯდენ, და სულ ისევ ისე გატაცებით
უსმენდენ ბიძას. მამა სიყვარულით მიჩერებოდა მათ აღელვებულ,
აწითლებულ სახეებს, მათ მოელვარე, ვარსკვლავებივით თვალებს.

— კმარა!—გამოაცხადა მან ბოლოს და წამოდგა.—მე მგონია,

თქვენ რომ გკითხოთ, მთელი ღამე აქ დარჩებით და ბიძათქვენსაც არსად გაუშვებთ! ვირჟინი-კი უთუოთ სულ ირევა, არ იცის, სად გადვიკარგეთ!

— უჰ, რა მშვენიერებაა მაგნაირი ცხოვრება!—ამოიოხრა ჯორჯმა, რომელიც ვირჟინის სახელის გაგონებამ თითქო გამოაღვიძა და საოცნებო სიზმარი გაუფანტა,—მამა! იცი, მე უსათუოთ მეზღვაური ვიქნები!

—ენახოთ, ჯერ რა დროს მაგაზე ლაპარაკია!—მიუგო სერ ევერარდმა.

— მეც მეზღვაური ვიქნები, მამა!—შეხვეწა ვილლი.

— არა, არა, ჩემო პატარა, შენ მე ვერ მოვიცილებ!—უნებლიეთ წამოიძახა სერ ევერარდმა, დაიღუნა და სიყვარულით აკოცა ვილლის ლამაზ, წითელ ტუჩებზე, რომლებიც ყოველთვის მზათ იყო მის კოცნაზე კოცნით ეპასუხნა.

ჯორჯმა თავი ჩაღუნა და დაკვირვებით დაუწყო თავის თავ-თავებს თვალთვრება. ჩარლსმა, რომელიც ამ დროს მას მიჩერებოდა, შენიშნა, რომ მას გრძელ, შავ წამწამებს ქვეშიდან ორი მსხვილი ცრემლი ჩამოუგორდა ლოყაზე.

— ხომ არ ფიქრობს, რომ მამას ვილლი უფრო უყვარს?— გაუელო მას გულში, მაგრამ ჯერ ამის გადაწყვეტაც ვერ მოესწრო, რომ ჯორჯს უცებ თვალები გაუბრწყინდა და მაგრათ მოკუმული ტუჩები მხიარულმა ღიმილმა გაუხსნა: ერთი თავ-თავიდან აუარებელ ფეხებიანი რალაც მწერი გამომძვრალიყო.

— აბა, ბავშვებო, ახლა სახლში წავიდეთ!—თქვა სერ ევერარდმა, და ყველა გზას გაუდგენ.—იცი, ჩარლს, დარწმუნებული უნდა იყო, რომ რაც დღეს შენ უამბე, ყველაფრის მიბაძვას მოინდომებენ ორივე! საწყალი ვირჟინი, ეს რა აუტყენ!

ჩაის დროს ბავშვები ძალიან აღელვებულები იყვნენ, თითქმის არაფერი უქამიათ, სულ ჩარლსის თავ-გადასაყალბე ლაპარაკობდნენ.

მამა ცოტათ შეაფიქრა პატარა ვილოის აღვლევებამ და დასამშვიდებლათ მან ორივე ადრე გაგზავნა დასაძინებლათ.

— ხვალ გაგვითავებ ვეშაპის ამბავს? — ჰკითხა ჯორჯმა ბიძას და კალთაში ჩაუხტა გამოსათხოვრათ.

— ხვალ მე სახლში უნდა წავიდე, ჩემო პატარა მეგობარო! — გამოუტყხადა ჩარლსმა.

— ხვალ! — წყენით წამოიძახა ჯორჯმა. — რა ცოტახანი გაატარე ჩვენთან!

— რა ცოტახანი გაატარე ჩვენთან! — გაიმეორა პატარა ვილიმაც.

— მალე უფრო დიდი ხნით გეწვევით! — ანუგეშა ბიძია ჩარლსმა და ორივე დისწული სიყვარულით დაკოცნა.

ელ. წერეთელი.



ყუმბარა.

(შვილი-შვილის ნამბობი).



I

ულ იმ ნიკო რეალისტის ბრალი-კია. აქამდის არა-ვისთვის მითქვამს, მაგრამ ახლა რაკი ჩენი ამბავი ქვეყანამ შეიტყო, — რალა დასამალავია? სულ იმის ბრალია, მეთქი, პირველათ იმან მოიგონა: მოდი, ყუმბარა გავაკეთოთო!..

შენ ერთი მაგისტანა ახირებული რაჲე გააგონე ჩემს ძმას ტიტოს და სხვა არა უნდა-რა, ცეცხლივით მოედება. მაშინვე შეხტა და ყვინჩილასავით წამოიყივლა: „გავაკეთოთო!“ საცა ტიტოა იქ იმისი კული, ღუნღულა კოგიაც უნდა იყოს, ჩენი პატარა ძმა. მე-რე მეზობლიანთ ილოც აჰყვა.

მე-კი იმ თავითვე არ მომწონდა ვე ამბავი. ბეერი ვაფთხილე, — აჰა, თუ არ გაგელახონ-მეთქი! — მაგრამ ვერ დაეჯერე. პირ-იქით, იმათ დამცინეს კიდევ: „იი, არა გრცხვენიან, მეორე კლასში ხარ და მაგისტანა მშიშარაო!“

— მაშ კარგი! თუ აგრეა, მეთქი, მე მშიშარა ჩემთვის ვიქნები და თქვენ ყოჩაღებმა მარტო გააკეთეთ ყუმბარა.

ვიცოდი, რომ უხეიროები უჩემოთ ვერას მოახერხებდნენ და დიდგულათ ვიყავი. მართალია, არც მე ვიცოდი ყუმბარის გაკეთება, მაგრამ ესენი ხომ მაინც ჩაეაჩუმე.

ბოლოს, იმათე დამიწყეს ხეწნა, ჩვენთან იყავიო. ოღონდ შენ გვასწავლე და რასაც გვეტყვი, ყველაფერს შენს სიტყვაზედ ავასრულებთო.

— ჰო, ვგრე სტქეთ, მეთქი. თორემ მშიშარას ეის უძახით? დავიწყეთ რჩევა, როგორ გაგვეკეთებინა ყუმბარა. ყუმბარას დინამიტი უნდა და აბა ეინ იცის დინამიტის მომზადება? რასაკვირველია, არავინ იცოდა.

— რა საჭიროა დინამიტი, სტქვა ტიტომ, განა თოფის წამალი კი არ ივარგებს?

— აბა სად თოფის-წამლის ძალა და სად დინამიტისა! დასცინა ილომ. თუ ყუმბარაა, უთუოდ დინამიტით უნდა იყოს გატენილი.

— აფთიაქში ვიყიდოთო, წამოიძახა გოგამ.

— დიახ, მოგართეეს! უპასუხა ნიკომ. კასტორის ზეთი ნუ კი გგონია, რომ აფთიაქებში იყიდებოდეს. დინამიტს არსენალში აკეთებენ.

რომ ვერა მოიგონეს-რა, მე ეუთხარი: „თქვენ ეგ საქმე მე მომანდეთ. დინამიტის რეცეფტს მე ვიშოვნი და ისე მოვამზადებთ. თქვენ ისა სტქეთ, ყუმბარას რომ გავაკეთებთ, მაშინ რა ვუყოთ?

— ავაფეთქოთო! სტქვა ტიტომ.

— ისე, ტყუილა-უბრალოდ?

— ქუჩაში გადავისროლოთ, გვირჩია გოგამ.

— ბიჭო, რას გავიქებულხარ? დაიძახა ნიკომ. მერე რომ მოჰკლა ეინმე, ხომ ციმბირში გადაკარგეს!..

დუნდულა გოგიას ფერი წაუვიდა.

ბოლოს, ტიტომ მოიგონა: „საქათმესთან ეზოში რომ ქვები და ნატენი აგური ჰყრია, ის ავაფეთქოთო“. ყველამ მოუწონა ასეთი რჩევა, გოგიას გარდა. ამას თავისი დარდი აწუხებდა,—ვაი თუ აფეთქებისაგან საქათმეც დაიქცეს და ქათმები მოჰყვესო. მაშინ ხომ უქათმით დავრჩითო.

— აი შე მსუნაგო შენა! დასცინა ტიტომ. მუსიას დარდი ფლა-

ვიაო! ბიჭო, ღამით ხომ არ ავაფეთქებთ, როცა ქათმებს ეძინებათ, დღისით ავაფეთქებთ, როცა ეზოში ივლიან.

ყველაფერი რომ გავარიგეთ და მოვრჩით, მაშინ-ღა დავინახეთ, რომ ჩვენთან თურმე ჩენი პატარა და თიკო ყოფილა. ჩენი ბაასის დროს ჩუმათ მოცუნცულელებულიყო და სულ-განაბული და თვალგბ-დაჭყეტილი ყურს გვიგდებდა.

ვაი შენ ჩემო თავო! ეთქვი ჩემს გულში. ხომ გაგეცა ახლავე ამ გომბიომ. ამან თუ შეიტყო რამე, აბა რას დააყენებს ენასა? წაფა და სულ დაწვრილებით დედას გადმოუღაგებს. ამ დროს ტიტომ გად-მომხედა და აღბათ მიხედა ჩემს აზრს. წაფელო ხელი თიკოს, განზე გააყენა, მიუტანა ცხვირთან მუშტი და ასე დაემუქრა:

— შენ ეი, ენატანიავე, თუ დედისათვის ერთი სიტყვა გითქვამს, ამას ხედავ?!.. ისე გცემ, ისე გცემ, რომ-რომ-რომ, სუ-სუ-სუ ცხვი-რიდან ძმარი გადინო! გაიგე?

— ალ ვეტყვი, ღმელთმანი.

— აბა დედა დაიფიცე! დედა არ მომიკვდება, არ ვეტყვი-თქო. თიკოს ცრემლები მოუვიდა: „დედა ალ მომიკვდება, ალ ვეტყ-ვი“.

— ჰაა, გახსოვდეს, ცინგლიანო!..

II

დავიშალენით თუ არა, მაშინვე მამის ბიბლიოტეკას ვეცი და ენციკლოპედიურს ლექსიკონში დინამიტის რეცეპტის ძებნა დავიწყე-ვიპოვნე, ბევრი ვიკითხე, მაგრამ ვერაფერი გავიგე, — რალაც ქიმიურ-ი ფორმულები ეწერა. ვიფიქრე, სჯობს მამა ჩემს გამოგვითხო, ის უფორმულოდაც ამიხსნის-მეთქი და შევდგი წიკნი თავის ალაგს.

როგორც იყო სადილობამდის გავძელ, სანამ მამა მოვიდოდა და სადილზედ დავსდებოდით. სადილობა მარჯვე დროა. მამა ამ დროს კარგ გუნებაზეა. ყმაწვილებს გველაპარაკება და გვეხუმრება



ხოლმე. თუ დინამიტის გაკეთებისას შეეიტყობდი რასმე, ახლა უნდა შეკითხნა. მაგრამ როგორ ჩამომეგდო სიტყვა ისე, რომ არაფერ მიმხედარიყო ჩემს განზრახვას. დიდი პოლიტიკა იყო საქარო.

ჩემს ბედზედ, ჯერ სუფი არ გაგვეთავებინა, რომ მამამ თითონ დაიწყო ყუმბარებზედ ლაპარაკი. დედას ეჯავრება ყუმბარების აფეთქების ამბები. დიდი-დედას ხომ მისი ხსენებაც ეშინიან,—გულის ფრიალი მოსდის. ამიტომ დედა და დიდი-დედაც უგულოდ უსმენდნენ მამას, ჩვენ-კი ყურები ვცქვიტეთ.

ახლა-კი დროა, მეთქი, ვიფიქრე და პირდაპირ ვკითხე:

— მამა, ყუმბარას როგორ აკეთებენ?

— აიღებენ თუნუქის კოლოფს, გასტენენ დინამიტით და მზად არის ყუმბარა,

— დინამიტს როგორ-ლა აკეთებენ?

— ჰოო, ეგ-კი უფრო ძნელი საქმეა. მაგას დიდი ცოდნა და სიფთხილე უნდა, თორემ დიდი უბედურება მოხდება. ამიტომაც დინამიტს განსაკუთრებულს ქარხნებში აკეთებენ.

დედას ჯავრით წარბი შეეკრა. დიდი-დედას კი გული უწვრილდებოდა, ჩვენს ლაპარაკს ვერ იტანდა.

— მერე, დინამიტის გასაკეთებლათ რა მასალას ხმარობენ?—არ ვიშლიდი მე ჩემსას.

— იი, რა არი ქა! აბა რა სალაპარაკოა მაგისთანები? ან რა შენი საქმეა, შეილო?—ჩაერია დიდი-დედა.

— დინამიტისათვის ხმარობენ ნიტრო-გლიცერინსა და ერთგვარ მიწას, კიზელგულს ეძახიან... აქ მაგეებს ვერ იშოვნის. რა ძალიან მოგიწინა, ბიჭო, მაგის ცოდნა, შენც ხომ არ აპირებ ყუმბარების კეთებას?!..

— ეიშ, რა არი, ყმაწვილო? სადაური ხუმრობაა?—წამოიძახა დიდი-დედა.

— ნურც ეგეთი სულელი გგონია შენი შეილი, რომ მაგ ხელობას მიჰყოს ხელიო.—გაუწყრა დედა.

მე-კი მამის სიტყვაზედ გავერ, გავეითლდი ქარხალსავეთ და ჰირის ოფლში გაეიწურე. ტიტო სტოკავდა სკამზედ. დუნდულა გოგამ დაალო პირი და დორბლები ჩამოუშვა. თიკომ ხომ კინალამ გაგვცა. აკი არ მოაგონდა იმ შეჩვენებულს ჩვენი წელანდელი ლაპარაკი, ველარ გაუძლო გულმა და ის-იყო დაიწყო:

— იცი, დედა?..

მაგრამ ამ დროს ტიტომ ისეთი თვალეზი დაუბრიალა, რომ საწყალს თიკოს შიშით სული შეეუზბდა, ნამცეცი სასულეში წაუვიდა და კინალამ დაიღრჩო. გალურჯდა და საშინელი ხველა აუფარდა. მისცვიდნენ იმას საშველათ, ზოგი ზურგში უბრაგუნებდა, ზოგი წყალს ასმევდა.

დიდი-დედამ რომ თიკო ამ ყოფაში ნახა, გულის-ფრიალი მოუვიდა და ახლა ეს გაკვირდა მოსაბრუნებელი.

აიშალა სუფრა. ვილას აგონდებოდა ყუმბარა ან დინამიტი!.. ძლივს სადლი გაეთავეთ.

როგორც იყო გადაჩრჩით.

III

მეტი ღონე არ იყო, დინამიტზედ ხელი უნდა ამელო და ყუმბარა თოფის-წამლით გამეტენა. თოფის-წამლის რეცეფტი დიდი ხანია მაქვს, შუშუნების რეცეფტებთან ერთად მიწერია უბის წიგნში. ბევრი მასალა როდი სჭირია: გვარჯილა, გოგირდი და ნახშირი.

სადილს უკანვე დავიწყეთ ყუმბარის კეთება. მე და ნიკო მასალის საყიდლათ ბაზარში წავედით; სანამ დაებრუნდებოდით ტიტოს თუნუქის რომელიმე კალოფი უნდა მოეძებნა ყუმბარისათვის, მეზობლიანთ ილოხსა და გოგიას კი საქათმესთან ქვების ქვეშ ხერელი უნდა ამოეთხარათ.

მე და ნიკო რომ დაებრუნდით, ტიტოს სარდინკის დიდი კალოფი მზადა ჰქონდა, გარეცხილი და გაწმენდილი. ამას გარდა სად-



ლაც ორი კოლოფი სპიჩკა და ერთი მუჭა წვრილი ლურსმანი აეწაპნა: სპიჩკის თავებს და ლურსმანს გაეურვეთ წამალსა, უფრო ძალა ექნებაო. ილოსა და გოგიას თხუნელაებსავეთ ეთხარათ და ვეება თხრილი გამოეთხარათ.

ახლა თოფის-წამალი-ლა დაგერჩა გასაკეთებელი.

მასალას დანაყეა უნდოდა. ჩვენ რომ სამივე მასალა ერთგან დაგვენაყა, უეჭველია შინაურები მაშინვე მიხედებოდნენ რასაც ეაკეთებდით და დაგეიშლიდნენ. ამიტომ გეარჯილა ნიკიას ცალკე დანაყენინე თავის სახლში, გოგირდი ცალკე ილოს მივეცი დასანაყათ, ჩვენ-კი სამზარეულოში ფხენილი ნახშირი მოვაგროვეთ და ხმაურობა რომ არ აგვეტეხნა, ორ ქვას შუა დავფუვენით.

ასე ფთხილად და ფარულად მოვამზადეთ მასალა. ჩაეიკეტენით ჩვენს ოთახში წამლის გასაკეთებლათ, მასალა ერთმანერთში შეერიეთ, შეეხელებთ, შეეთითხნეთ და გამოვიდა რალაც ფაფა, ლაფსავით სველი და შავი... წყალი ცოტა ნამეტანი მოგვეივიდა.

ამოვამსეთ ამ ფაფით სარდინკის კოლოფი, ამოვაელეთ შიგ ერთი შაქრის ბაწარი, რომ საფეთქებელ პატრუქად გამოგვეყენებინა და ყველაფერი ჩემს კრაოტს-ქვეშ კუთხეში შევდგი. ხელამდის სველი წამალი უნდა გამხმარიყო. მეორე დღეს სადილს უკან უნდა ჩაგვედო ყუმბარა თხრილში, პატრუქი გამოგვეყენა, სპიჩკა მიგვეცა და აგვეფეთქებინა.

იმ საღამოს ხან მე, ხან ტიტო და ხან გოგია წამლაუწუმ კრაოტ-ქვეშ ვძვრებოდით ხოლმე და ვშინჯავდით, გაშრა თუ არა ყუმბარაში წამალი. ნიკო და ილოც მალ-მალ ჩამორბოდნენ: აბა, ვნახოთ როგორიაო! ძალიან ნელა შრებოდა. ტიტომ ყელარ მოითმინა და: მოდი, ლამფაზედ გავაშროთო!.. მაგრამ თითონვე შერცხვა თავის სისულელისა.

ისე გავიდა საღამო, რომ ვერც ჩაი დაელიეთ რიგიანათ, ვერც გაკვეთილები ვისწავლეთ და დავწექით დასაძინებლათ.

დილაზე წამალი თითქმის გამშრალიყო. მხიარულები წავედით

გიმნაზიაში მე და ტიტო და გოგიას დაევალებით, სანამ მოვიდოდეთ, თვალ-ყური გეჭიროსო.—ქეთო რომ ჩვენს ოთახს ალაგებდეს და ვგენი ნახოს, უთხარ, შუშუნა-თქო, არ გადააყრეინო.

IV

სწავლა გავათავეთ და მოვრბოდით მე და ტიტო. რა სერი იქნება სადილს უკან რომ ყუმბარას ავაფეთქებთ!.. ჰაი-ჰაი!

მივედით შინ თუ არა და, ვაი შენს მტერს, რაც ჩვენ ამბავი დაგვხვდა. ჯერ ეზოში არ შევსულიყავით, რომ ალაყაფის კარებში გოგია დავინახეთ. კარებთან ატუზულიყო, ალბათ ჩვენ გველოდა, და ნამტირალ თვალებს ახამხამებდა.

— რა იყო, ღუნღულავ, ყურები რას ჩამოგიყრია?—ჰკითხა ტიტომ.

— აფეთქდა...

— ეინ აფეთქდა, ბიჭო, რაებს როშავ?

— ყუმბარა... და გოგიამ უფრო მოუბშირა თვალების ხამხამსა.

— ვაი შენ ჩემო თავო! როგორ იყო, ბიჭო, არ იტყვი?..

მაგრამ გოგიას ენა მუცელში ჩაუფარდა და სლუკ-სლუკის მეტი ვერა ვათქმევინეთ, ბოლოს, როგორც იყო გვიამბო ყველაფერი. საქმე თურმე ასე მომხდარიყო.

ჩვენ რომ გიმნაზიაში წავედით, ჩვენმა გამდღვმა ქეთომ ჩვენს ოთახს დალაგება დაუწყო. გამოსწია ჩემი კრაოტი და იქაურობას ჰგვიდა, როცა ერთ ალაგას იატაკზედ მიკრული თოფის-წამალი ნახა. ტალახი ეგონა. მოაბრუნა შჩოტკი და ტარით ფხეკა დაუწყო. აკი არ იფეთქა იმ წყეულმა წამალმა! იქვე ყუმბარა მდგარიყო, წამის უმაღლ ცეცხლი გადასდებოდა და... ბუო! იფეთქა ყუმბარამ.

აეარდა საშინელი ალი და ოთახი კომლით გაივსო. შეიქნა ერთი ალიაქოთი. ქეთო ზარ-დაცემული გარეთ გამოვარდა და გაჰკიოდა: გვიშველეთ, ვიწვითო! გოგიამა და თიკომ შიშით ტირილი მორ-



თეს; დედა ოთახებში დარბოდა და ხან ერთს ავეჯს გაარბენინებდა გარეთ, ხან მეორეს; დიდი-დედას კიდევ გულის-ფრიალი აუვარდა.

მოცვიდნენ მეზობლები და როგორც იყო ცეცხლი ჩააქრეს. ბევრი არაფერი დამწვარა: ჩემი ლოგინი შეტუსულიყო და ერთ ალაგას შპალერი. ქეთოსაც დაეწო კაბა და დაბამბული იუპკა. ბოლოს, რომ დამშვიდდნენ, დედას გოგიასათვის ყველაფერი გამოეკითხნა და შეეტყო.

— დედა ძალიან ჯაერობს? — ჰკითხა ტიტომ გოგიას.

— ძალიან!.. იტირა...

— დიდი-დედა?

— დიდი-დედაც კენესის.

— მამა ჯერ არ მოსულა?

— არა ჯერა.

ცულათ იყო ჩენი საქმე. შევედით კულ-ამოძუებულები შინ და ჩენს ოთახში დაეიმაღენით. მაგრამ ეის დაემაღებოდით?.. მოვიდნენ დედა, დიდი-დედა, ქეთოც და სულ გაგწეწეს: რაზედ გადვიწვებოდით და რაზედ დაეილუპებოდითო!.. სადა ნახულა და გაგონილა თქვენისთანა ცელქი და მოუსვენარი ყმაწვილები?! და ამისთანები.

მაგრამ ბოლოს, როცა დედამა სთქვა: „ვეტუობათ, არა გყვარებივარ და მაშ მეც აღარ მეყვარებითო“, — ტიტოს გული აუჩუყდა და ტირილით დედას გულში ჩაუვარდა... აგრე იცის ხოლმე. ყველაზედ ბევრს ისა ცელქობს და დედას ყველაზედ უფრო თავს ის შეაბრალებს ხოლმე.

ტირილი არ გაკვეთავენინა, რომ ზარის ხმა მოგვესმა... მამა მოვიდა. წამოვარდა დედა მისაგებებლათ, ჩენ-კი სულ-განაბულები სმენათ გადავიქეციოთ. ზალიდან გვესმოდა დედის ხეწნა და მამის მუქარის ხმა. ერთი წამი კიდე და შემოვიდა მამა, პალტოთი და ბამბუკის ჯოხით, მოგედგა და, — ღმერთო, — რაც იმან გეტუქსა! ყვიროდა და სულ ბამბუკის ჯოხს გვიბრაზუნებდა...

მაგრამ თუმცა ძალიან ცხარობდა, მაინც შეეატყე მამას, რომ პლუტობდა. ჩვენ გვიყვიროდა და ჯოხს გვიბრახუნებდა, თითონ-კი დედას თვალს უშერებოდა, ვითომ: „ნუ გეშინიან, არ გაელახამო!..“ გგონია, არ ეიცი მამის ხასიათი?

გათავა მამამ ჩვენი კიცხვა და სადილათ დავსხედით, მაგისტანა უგემური სადილი ჩემს ღღეში არ მიკამია,—ლუკმა პირში არ ჩადიოდა. სადილზედ მამამ ყველაფერი გამოგვკითხა, დამწვარი ავეჯი ინგარიშა და ბოლოს ასე გამოგვიცხადა.

— რადგანაც თქვენმა ცელქობამ ოჯახს ამოდენა ზარალი მოუტანა, მაგ ზარალს თქვენვე გადაგანდევინებ. საშობაოთ ახალ ტანისამოსს აღარ შეგიკერაფთ და აღარც ოპერაში წაგიყვანთო..

ახალ ტანისამოსს ჯანი გავარდეს, ძველსაც არა უშავს-რა, ილათ წაფალ,—შენ ოპერა თქვი! ოპერა რაზე დავკარგე?..

სულ კი იმ ამოსაგდების ნიკოს ბრალია, იმან მოიგონა პირველათ,—ყუმბარა გავაკეთოთო.

ად. სარაჯიშვილი.




ჯვაროსნული ვალაშქრება ბავშებისა.

(ე. სისოვეისა)

დასასრული *)

ვაჭრობა.



ჯვაროსან ბავშების საშინელი ხვედრი, მათი დატყვევება, მალე მოედო მთელს ალექსანდრიას. ყველა ქალაქის მცხოვრებნი, დიდი და პატარა, მიეშურებოდნენ ბაზრისკენ, სადაც ჩვეულებრივით მონებსა ჰყიდდნენ, უნდოდათ დარწმუნებულიყვნენ თუ მართლა აპირებდნენ საჯარო ვაჭრობით რამდენიმე ათასი ფრანგ ბავშისა, 300 დიდრონი კაცის და 80 შღვდლის გაყიდვას. ამ დროს ალექსანდრიაში, თითქოს განგებ, მრავალი არაბელი თავადები შეგროვილიყვნენ, ეტყობოდათ მონების საყიდლათ მობძანებულიყვნენ.

საბრალო ქრისტიანები მწყობრათ გაამწყკრივეს საეაჭრო მოედანზე და მჭიდროთ შემოარტყეს გარს შეიარაღებული არაბები. ძირს ცხელმა ქვიშამ, თავზე პაპანაქება სიცხემ და მთელი დღის შიმშილწყურვილმა მთლათ მოაუძღოურა საცოდავები. ისინი თავჩაკიდულე-

*) ისილე „ჭეჭილი“ № X—XI.

ში მწარეთ ტიროდენ. გრძნობდენ, რომ მათ მოელოდათ საშინელი ტანჯვა, ტუსალობა და შეიძლება სიკვდილიც.

საძაგელი მოლალატე გუგო და პორკუსი გულ-გრილათ დადიოდენ მტირალ ბავშვებში და ათვალთქვებდენ, როგორც გასაყიდ ცხენებს, თან ფასს ადებდენ ყოველ ყმაწვილს.

— ქარიშხალი რომ არ დაგედგომოდა, — ეუბნებოდა პორკუსი თავის ამხანაგს, — ორი ათასი სულით მეტი გვეყოლებოდა გასაყიდათ. ხუმრობა ხომ არ არის ამოდენა ზარალი! ეს დანარჩენი ბავშვები უნდა ერთი-ორათ ძვირათ გაეყიდათ, რომ ავინაზღურეთ ის ზარალი, რომელიც ზღვამ მოგვაყენა.

— რას სწუხარ გავლილ საქმეზე, უმადლო! ახლა ზარალზე-კი არაა, მოგებაზე უნდა ვიფიქროთ. შეხედე ერთი როგორი მყიდველები მოვიდენ ჩვენთან. ყველა დიდებულის თვალები აქ არიან. ეე, თვით ბაღდადის ხალიფაც მოდის... ვაჰ! შეხე ქალაქ ალექსანდრიის მმართველიც მობიჯბიჯებს... მაკრამ, ეგ-კი ბევრს არას გამოიმეტებს, მაგას ფასი უნდა დაუკლოთ, ამაგიერთ სხვას-კი მეტი ავაძროთ და მგონი კარგა წავა ჩვენი საქმე.

ამ ლაპარაკში კიდევ მოახლოვდა დიდკაცობა. გუგომ და პორკუსმა მდაბლათ დაუკრეს თავი ახლათ მოსულებს.

— ესენი არიან თქვენი ტყვეები? — ჰკითხა გუგოს ქალაქის მმართველმა. — სულ ბაღდადის ყოფილან, ბევრი არაფერი გქონიათ სავაჭრო, დიდი ფასის დადება არ გაბედოთ.

პორკუსმა მხრები შეიშმუშნა.

— აგრე რათ გვიწუნებთ სავაჭროს? — მდაბლათ თავის დაკვრით უთხრა მან. — ისეც დაგველუბა ოთხი ხომალდი, ორი ათასი ბავშვით, ბარგს გარდა. საშინელი ზარალი მოგვივიდა.

ქალაქის მმართველი მიუახლოვდა პორკუსს და ყურში ჩასჩურჩულა:

— შენ, ეი, ძმაო, არ დაგაფიწყდეს, რომ ჩემ წილათ 300 ტყვე უნდა დასტოვო, პირობაც ხომ ასე გექონდა.

პორკუსმა ელდა-ნაცემივით უკან დაიწია.

— ალლაჰო!.. ყოვლად შემძლებელო!—წამოიძახა მან.—ბირობაში ასი, და არა სამასი სწერია.

ქალაქის მმართველმა შუბლი შეიჭმუნა და გაჯავრებით დაუღრიალა:

— როგორ, განა შენ პირშიაც მიბედავ რასმე? დაფიქრდი, მუქთათ არ ჩაგივლის ჩემი რისხვა.

პორკუსი, ეს გაიძვერა, რჯულ-გადამდგარი და საძაგელი ადამიანი, — დაეცა მუხლებზე, შუბლი მიწას დააყრდნო და მოჰყვა ღრიალს:

— თვალის-ჩინო დიდის წინასწარმეტყველისავე, მართლ-მორწმუნეთა სხივო მზისავე, აპატივე შენს მონას კანდიერი ლაპარაკი! ჩვენს პირობის ქალაქში დაწერილია ასი... ასი! ჩემო მბრძანებელო, გინდა სიკვდილით დამსაჯეთ, ეს რიცხვი-კი სწორია! შეგებრალებ!

ქალაქის მმართველმა სიბრაზით თვალეზი გადმოუბრიალა.

— ოჰ, შე გაუმაძღარო ძაღლო! — დაუღრიალა მან ხრინწიანი ხმით: — ოჰ, შე მოძულეებულო მონაე! შენ ჩემთანაც გაბედვერაგობა? მაშ თუ აგრეა ხუთასი კაცი მომგვარე. კრინტი აღარ დასძრა, თორემ იმდენ ჯოხს მოგარტყამ მაგ გვერდებში, ნახევარიც ვერ დათვალო. ოჰ, შე საზიზღარო! შენ იქნება გგონია, რომ მუქთათ ვემსახურო ქალაქს? ნახევარიც რომ მეთხოვა შენი მონებისა, მაშინაც-კი არ შეგეძლო უარი გეთქვა. ამ საათშივე მიეცი განკარგულება, რომ აარჩიონ ჩემთვის ხუთასი საუკეთესო ჯან-ლონით საესე ბავში.

პორკუსი კენესით წამოადგა ფეხზე და ჩუმათ გაემართა ქალაქის მმართველის სასტიკ ბრძანების ასასრულებლათ.

საზიზღარ სიცილიელ ვაქრების საბრალო მსხვერპლნი მწუხარებით შესცქერიდენ ამ ამბავს.

ჩვენი ნაცნობი რობერტი და გენრიხი ხელი-ხელ გადახეულნი მიწაზე ისხდენ.

— ღმერთო, ქვეყნის გამჩენო! — ჩუმათ ლოცულობდა რობერ...

ტი, — გეაკარე მწუხარება, ნუ მისცემ ნებას, რომ ტყვეობაში ერთ-მანეთს დაგვაშორონ!

— მე დიდხანს ეელარ ვიცოცხლებ, — დასუსტებული ხმით წარმოთქვა გენრიხმა, თან ალერსიანათ მხარზე მიეყრდნო რობერტს. — მე, უსათუოთ, ახლაცე მომკლავენ, იმისთვის რომ საქმისთვის არ გამოვდგები. ოხ, რობერტ, ისე დავიღალე, რომ თვალის ანგლის თაფი აღარა მაქვს. ვგრძნობ რომ ვერ ვნახავ იერუსალიმს, სამაგიეროთ მალე ვნახავ ზეციურ იერუსალიმს. ნუ ტირი, ჩემო ძმაო, ილოცე უმჯობესი იქნება, რომ მალე მოვიდეს ჩემი აღსასრული... თუ ღმერთი გაღირსებს საფრანგეთში დაბრუნებას, მომიკითხე ჩემი მშობლები, თხოვე, რომ მაპატივონ.

რობერტი ტირილით გადაეხეია თავის მეგობარს და დაუწყოთ თაფ-დავიწყებით კოცნა. მძლავრმა ხელმა შეიარაღებული არაბისამ განაშორა ისინი. გენრიხი პირქვე წაიქცა. არაბმა ჯოხი დაარტყა.

— აღექი, განაზების დრო არ არის! — ბრიყვეულათ დაუღრიალა მან ბავშს. გენრიხმა ძალა მოიკრიბა წამოსადგომათ, მაგრამ ღონემ უმტყუნა და ისეც დაეცა ძირს, მხოლოთ ეს-ლა შესძახა:

— რობერტ, ძმაო, არ დაგავიწყდეს!..

რობერტი, რომელიც მოეშორებინათ და მიჰყავდათ, უცბათ გამოუსხლტა დარაჯებს ხელიდან და მივარდა თავის მეგობარს. გენრიხს უკვე სულთ-ებრძოდა. ზეციურმა ღმირილმა გაუბრინა მას ტუჩებზე, უკანასკნელი ოხერა აღმოხდა გულიდან. რობერტი უიმედოთ დაეცა მუხლებზე მომაკვდავ ბავშის წინ, მოჰხეია ორივე ხელი და მაგრათ მიიკრა გულზე უგრძნობი სხეული, თან უნუგეშოთ ცრემლებს ღვრიდა. მწარე იყო მისთვის საზოგადოთ ტყვეობა, მაგრამ კიდევ უფრო მწარე იყო ის უგენრიხოთ.

XI

წამებული ბავშები.

სტეფანე ღრმათ ჩაფიქრებული გაუნძრევლათ იდგა. ცხლათ



ეტყობოდა, რომ მორჩილათ მოელოდა თავის ბედის გადაწყვეტას.— აჰა დასტკბი ცქერით, პატივცემულო—ემირო, დაცინვით შენიშნა გუგომ შაგვრემან, წამოსადგე არაბს, რომელიც მასთან ერთათ მოდიოდა.—შენს წინ სახელ-განთქმული მწყემსია, ჯარის სარდალი, რომელმაც განიზრახა ბავშვის ლაშქარი წაეყვანა და დაეპყრო საფლავი ჯვარცმულ იესოსი.

არაბმა მუშტრის თვალით აათვალიერ-ჩათვალიერა სტეფანე, რომელმაც არაბის მოახლოებაზე თვალები უშიშრათ შეანათა მას.

—ამას მე ვყიდულობ ჩემთვის,—თქვა ემირმა და თან ხელით შეეხა სტეფანეს მხარს,—ამას გარდა კიდევ ავარჩევ ჩვიდმეტ ყმაწვილს.

როდესაც ამორჩევას მორჩენ ემირი და გუგო ისევ სტეფანესთან მივიდნენ.

—უთხარი ამას,—მიმართა ემირმა გუგოს,—რომ თუ პირველივე უარპყოფს თავის დაწყვეტილ სარწმუნოებას და იწამებს ღიღებულ წინასწირმეტყველს მაჰმადს, მე მაგას შეილათ ავიყვან.

—გესმის შენ, ფარისეველო, რა ბედნიერება მოგველინა? —უთხრა გუგომ სტეფანეს,—ღიღებული ემირი, მაჰმადის ჩამომავალი, გყიდულობს და თუ ახლავე ხმა-მადლა უარპყოფ ჯვარცმულ იესოს და იწამებ მაჰმადს, შეილათ ავიყვანს.

სტეფანეს მკვდრის ფერი დაედო, მთლათ აკანკალდა.

—იუდაე შეჩვენებულო!—დაუყვირა მან:—როგორ მიბედაე იმის თქმას, რომ მე უფალს ვუღალატო? ვერას დროს ვერ ეღიბსები, რომ მე უარპყო ჩემი ღმერთი. მომშორდი, მაცდურო!..

ემირმა დანარჩენ ჩვიდმეტ ყმაწვილსაც დაუწყო ლაპარაკი და ურჩევდა უარეყოთ ქრისტეს სარწმუნოება. მაგრამ არც ერთს მათგანს არ წამოსცდენია საშინელი სიტყვა: „უარპყოფო“, ყველამ ერთხმათ შეჰყვირეს, ქრისტიანებათ დაებაღებულფართ და ქრისტიანებათვე დაეიხოცებითო. სტეფანემ, გაიფანა თუ არა ეს ყვირილი, სიხარულით აღტაცებულმა ღმერთს მადლობა შესწირა.

— ხომ ხედავ, ვინ არის აქ უფროსი, — უთხრა არაბულათ გუგომ ემირს. — ეცადე გავლენა იქონიო მასზე, მაშინ თავს მოვიტყრი, თუ ეს სულელი ბავშებიც მაგის მაგალითს არ მიჰბაძევენ.

— მე ფრანგული ლაპარაკი არ ვიცი, — შენიშნა ემირმა. — გადაეცი ხელმეორეთ ჩემს მაგიერ, რომ ახლა მე ვარ მაგათი მბრძანებელი და მაგათი სიცოცხლე ჩემს ხელშია. თუ ეგენი ამ სათაშევე არ აასრულებენ ჩემს წადილს, ვაწამებ ყველას და ჯვარზე გავაკრამ.

გუგომ დაუწყა ღარიგება ჯვაროსან ბავშებს. იგი ჰპირდებოდა ყოველგვარ სიკეთეს, ეუბნებოდა, რომ ფულებით აგავსებენ, გაცხოვრებენ სასახლეებში, დაიბარებენ თქვენ დედ-მამას და მოგანიტყებენ ყოველგვარ ზედნიერებასო. მაგრამ პასუხათ ყველა ბავშები მწყობრათ გალობდნენ: „ქრისტეა ჩენი ძალა, იგი გეწამს, მხოლოდ, მას ერთსა ვცემთ თაყვანსო!“

ამან საშინლათ გაცეცხლა ემირი. მოსამსახურეებს უბრძანა მოეტანათ საწამებელი იარაღები და სტეფანეს პირველს გამოუძახა. იგი გულადათ წამოდგა წინ.

— გვემე, გეჩხელიტე, გეწამე, გაგვამათრახე, — ამაყათ წარმოთქვა მამაცმა ყმაწვილმა, — ჩვენ არ შევიცვლით ჩვენს აზრს და დიდ ზედნიერებათ ჩეთვლით ჩვენ თავს, თუ ღირსი გავხდებით ჯვარცმისა, მსგავსათ ჩენი უფალის იესო ქრისტესი.

— უბრძანე ბრწყინვალე ემირო, ყველანი ჯვარსაცვან, ეგ ჯიუტი ყმაწვილები! — უთხრა ემირს მოთმინებიდან გამოსულმა გუგომ.

— მე-კი მსურდა ყველასათვის მეპატეებინა, — წაილაპარაკა ემირმა. — როგორი დიდებული ხალხი გამოვა ამ მამაც ბავშებისაგან! — განსაკუთრებით მათი წინამძღოლი მომწონს. გაუმეორე მაგას, რომ მე შეილათ ავიყვან, აგავსებ ოქრო-ვერცხლით. ეგ ახლა ტყვეა, მე-კი ყველა მონებზე უფროსათ გავხდები. ოხ, დიდებულიო ალლაჰო! როგორი დიდებული მომავალი მოელის მაგ კანდიერ ყრმას, თუ მართლმორწმუნეთ გახდება! გადაეცი მაგათ ყველას უკანასკნელი ჩემი პირობა. უთხარი რომ, თუ არ დათანხმდებიან, ამ დილითვე სიკვდი-



ლით დაესჯი ყველას. ფეიცავ წინასწარმეტყველს, არ შეეცვლი ჩემს ბრძანებას!..—დაამთავრა ემირმა.

გუგო ისევ მიუბრუნდა ჯვაროსნებს ჩასაგონებლათ, ცდილობდა ბრწყინვალეთ აეწერა ის ბედნიერება რომელიც მოელოდათ მათ, თუ უარსა ჰყოფდნენ ქრისტეს სარწმუნოებას.

მაგრამ ყმაწვილები შეურყევლათ დარჩნენ. განსაკუთრებით მხურვალეთ იცავედა რჯულის სტეფანე.

— რას ყბედობ! რათ მინდა ემირის შეილობა! ჩვენ ყველას გვყავს ერთგული მფარველი—ზეციური მამა, მარტო მისი იმედი გვაქს, მას მიუძღვნით ღიდებას აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე!

ჩეიდმეტმა ბავშვის წკრიალა ხმამ სასოებით გაიმეორა აღტაცებით წარმოთქმული სიტყვები ყმაწვილი მწყემსისა.

ამან მეტათ გააშმაგა გუგო.

— ღიდხანს არ იქნებით აგრე ჯიუტათ უგუნურებო!—შეჰყვირა მან და მიუთითა ამართულ ჯგერებზე.—ხომ ხედაეთ! გონს მოღით; ემირს ზუმრობა არ უყვარს. კიდევ რამდენიმე წამი—და თქვენ ყველანი ჯვარზე იქნებით გაკრულნი.

— აღსრულდეს ნება ღეთისა!—აღტაცებით წამოიძახა სტეფანემ. მაგიერთ ჩვენ შემდეგში ნეტარება მოგველის, თუ ღიისი შეეიქნებით ჯვარზე სიკედილისა. ჩვენთვის საშიში არ არის წამების გვირგვინი, როდესაც წინ ნათელი სამოთხე მოგველის.

— რახან აგრეა,—დამუქრებით შეჰყვირა გუგომ,—მაშ დაიხოცენით, ბალღებო!

— შეიბრალე შენი თავი, და არა ჩენი, იულა-გამცემლო,—წარმოთქვა წინასწარმეტყველურათ სტეფანემ.—წელიწადიც არ გაიგლის, რომ შენ და შენი ამხანაგი სამარცხვინო სიკედილს ჰპოვებთ ჯალათის ხელით.

გუგოს შიშისაგან ფერი ეცვალა, მაგრამ რომ ეჩვენებინა, ამ სიტყვებმა სრულებითაც არ შემაშინესო, თვალთმაქცურათ გადი-

ზარხარა. ემირმა ანიშნა, ყველა თერამეტი ყმაწვილი ჯვარზე გააკა-
რითო.


მზეს ბრწყინვალეთ გაჰქონდა კაშკაში და რალაც თანტასტიურ
შეხედულობას აძლევდა თერამეტ ჯვარზე გაკრულ პატარა ბავშთა
ტანჯულ სახეებს.

განგებამ თითქო სამაგიერო გადაუხადა ყველა იმათ, ეინც სა-
ცოდავი ბავშები დალუპა. ემირს ერთმა თავისიანმა უღალატა და
მოჰკლა. გუგო და პორკუსიც სამი თვის შემდეგ დაიჭირეს აკრძა-
ლულ სავაჭროს ზიდვის დროს და ორივე ჩამოახრჩეს.

ასეთი სამწუხარო ბოლო ჰქონდა ბავშების ჯვაროსნულ გა-
ლაშქრებას, რომლის გამოც საფრანგეთს დაეღუპა მრავალი ახალ-
გაზღობა და რამდენიმე ათას ფრანგის ოჯახს მწარე ცრემლი დიდ-
ხანს არ შეშრობია თვალზე. საბრალო მშობლები დაღუპული შეი-
ლების საფლავის ნახვასაც-კი ვერ ეღირსენ.

ორი ათასი ბავში დაიღუპა ხმელეთშუა ზღვის ტალღებში,
ათასზე მეტი დაიხოცა აფეთქოფობით, დარდით და შიმშილით,
უმრავლესობა-კი მონებათ მოეფინა მთელს აზიაში და აფრიკაში;
ისტორიაში ამ ჯვაროსან ბავშებს იხსენებენ მხოლოდთ გაკერით. ზღვა-
ში დაღუპულ ჯვაროსან ყმაწვილების სახსოვრათ, კუნძულ სანპეტ-
როს ახლო, სარდინიაში, პაპმა გრიგორი მე-IX-ემ ააშენა ეკკლესია,
სადაც დაამარხებინა რამდენიმე ზღვიდან გამორიყული ბავში.

ნ. ენუქიძე.



ფიზიკური გეოგრაფია.

(პროფესორი გეიკისა)

დასასრული *)



III ზღვის მოძრაობა

ღვა არასოდეს დაწყნარებული არ არის; იგი მუდამ ღელავს ოდნავ თუ მძლავრათ. ყოველივე ამას თუ ზღვას დაკვირდებით, ადვილათ შეამჩნევთ. დიდი ხნის დაკვირვება იმასაც დაგიმოწმებთ, რომ ზღვის წყალი ნაპირებზე არ ჩერდება. განსაზღვრულს დროს იგი (წყალი) ნაპირებს აწყდება, ნაპირებს გადაივლის ხოლმე, ხოლო ნ საათის შემდეგ წყალი ნაპირებიდან ისევ უკან მიდის, ტოვებს ნაპირებს, თითქოს წყალი კლებულობს.

თავდახურული ცარიელი ბოთლი რო ზღვაში გადაადგოთ, იგი ზღვაზე ცურავს იწყებს; იგი იმ ალაგას-კი აღარ ჩერდება, სადაც გადაადგეთ, არამედ აცურდება და დიდს მანძილზედაც გაცურავს, სანამ ნაპირს მიაღებოდეს. ასეთს ბოთლებს ზღვაზე ათასამდის მეტი ვერსი გაუცურავთ.

ზღვის ზედაპირის ასეთი მოძრაობა ქარზე არის დამოკიდებული. სადაც ქარი დაუბერავს, იქითკენ ამოძრავდება ზღვაც. მაგრამ

*) ისილე „ჯეილი“ № X—XI.

ზღვის ზედაპირი-კი არ მოძრაობს მარტო... მოიგონეთ ყინულიანი მთების შესახებ ნამუბობი. ჩვენ ვამბობდით, მთები ძალიან დიდრონი არიან-თქო. ამ მთის წყალში ჩაძირული ნაწილი შეიღჯერ მეტია წყალს ზემოდ ამოჩრილს ნაწილზე და აი, მიუხედავად ამისა, ხშირათ მოხდება ხოლმე, რომ ეს მთები ზღვაზე მძლავრი ქარის წინააღმდეგ მიცურავენ ხოლმე. მერე რას მოწმობს ეს მაგალითი? იმას რომ მთები ქარის წყალობით-კი არ ამოძრავებულან, არამედ ზღვის ღრმა წყლის მოძრაობით. მართლაც ზღვა, თითქოს იქ მდინარეები მიმოდრიოდენ, დაქსელილია ბევრი მიმდინარეობით (Tечения), რომელთაგან ზოგი ცივი ქვეყნებიდან ცხელისაკენ ემართება, ზოგი კიდევ ცხელი ქვეყნებიდან ცივისკენ. ამნაირათ ზღვის შესახებ ჩვენ გავიგეთ, რომ მას მღელვარე ზედაპირი აქვს, ამის გამო წყალი ხან ნაპირებს გადაივლის, და ხან დაიკლებს ხოლმე. ზღვის ზედაპირი წყალი საზოგადოთ ქარის მიმართულებისაკენ მოძრაობს და სხვა.

ამ ხანათ საკმარისია გავეცნოთ ზღვის ტალღებს. რას წარმოადგენს ზღვის ტალღები? ამისდა გასათვალისწინებლათ ვისარგებლოთ შემდეგთ მაგალითით: აიღეთ რომელიმე წყლით სავსე ჭურჭელი, მაგალითათ, გობი. შემდეგ რომელიმე მხრიდან დაუბერეთ ამ წყალს და თქვენ შეამჩნევთ, რომ წყალზე აგორდება ტალღა აძრული ტალღა მეორე მხრისაკენ გასწევს, სანამ გობის მეორე ნაპირს არ შეეხებოქება და პატარ-პატარა ზეირთებათ არ დაიქსაქსება. სწორეთ ამნაირათვე ჩნდება ტალღები ზღვაზედაც. ჰაერის ამოძრავებას ზღვის წყლის მოძრაობაც ზედ მოსდევს. ქარი ზღვის წყალზე იმნაირადვე მოქმედობს, როგორც თქვენი დაბერვა გობის წყალზე. ქარი რომ დაუბერავს ზღვაზე, მაშინვე ტალღები ჩნდება. მუდმივი ქროლით ტალღები დიდდებიან, ძლიერდებიან და ქარიშხლის დროს ევებერთელა ტალღებათ იქცევიან. ხმელეთისაკენ, ნაპირისაკენ მიმოდინარე ტალღები ნაპირებს ეხებოქებიან და იმნაირათვე იქსაქსებიან პატარ-პატარა ზეირთებათ, როგორც თქვენგან აგორებული

ტალღა გობის მეორე ნაპირზე. ხოლო ტალღები მაშინაც-კი მი-
დიან ნაპირებისაკენ, როცა ქარი ალარა ჰქრის. საზოგადოთ ზღვის
წყლის ზედაპირი საოცარი გრძნობიერია. იგი მაშინაც-კი მოძრაობა-
შია, როცა მიზეზი მოძრაობისა კიდევ შეწყდა, ხოლო მისი მოძრა-
ობა თანდათან სუსტდება და ბოლოს სრულიათ წყნარდება. ამნაი-
რათ, მშფოთარე ზღვის ზედაპირი სარკვე ატმოსფერის აღშფოთები-
სა. ატმოსფერის მუდმივი მოძრაობა ხან სუსტი და ხან მძლავრი აშ-
ლის ხოლმე ზღვაზედაც ტალღებს. ცოტახნობით რო ჰაერი მი-
წყნარდება, ზღვაც მაშინ მშვიდდება. ხოლო, როცა ცა აირვეა და
ქარიშხალი ატყდება, ზღვაც ტალღებით იფარება. ტალღებიც ნაპი-
რებს ეხეთქებიან და იქ საშინელის ძალით იფანტებიან.

იქნება გაგიგონიათ, ან თვითონ გინახავთ, თუ რანაირათ ანგ-
რეეს ზღვის ტალღები ხმელეთის ნაპირებს. ყოველ წლივ ნაპირები
ინგრევა, იშლება, იღრღნება და ზოგჯერ იგი დაღუპული გემების
ნაფლეთებათაც იფინება. ამ ზღვის კლდიდან ნაპირებში ადვილი შე-
სამჩნევია ზღვის ტალღების ნამოქმედარი. აგერ ამჩნევთ ტალღები-
საგან ძრო-გამოქმულს კლდეს. იგი აგერ-აგერ დაინგრევა, ისე გა-
უნამია იმის ძირი ტალღებს. ზოგიერთ ალაგას წყალს გამოქვაბუ-
ლები გაუკეთებია. აგერ ვეებერთელა ლოდი ტალღებისაგან კლდეს
ჩამონახეთქი! აღმოსავლეთ ინგლისის ზღვის ნაპირების შემადგენ-
ლი ქვათა შრეები ისე ადვილათ ინგრევა, იშლება ტალღებისაგან,
რომ წყალი ყოველ წლობით ორი-სამი ფუტის სისწრაფით წინ ხმე-
ლეთისაკენ მოიწევს. რამოდენიმე ასის წლის წინათ ნაპირებზე მდებ-
არე ქალაქები და სოფლები კარგა ხანია რაც ჩრდილო ზღვის წყლით
არიან დაფარული. ხოლო ირლანდიის და შოტლანდიის დასავლეთ
ნაპირებზე, სადაც ქვათა შრეები მაგარია, ნგრევა შედარებით უფრო
ნელა ხდება.


თუ ოდესმე მოგიხდებათ ზღვის პირათ ყოფნა, კარგი იქნება
თვით დარწმუნდეთ ზღვისაგან ხმელეთის ნგრევაში, დაშლაში. ამი-
სათვის აირჩიეთ ქვიშით მოფენილი ნაპირი და დააკვირდით იმ

